უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასება

2021

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 4

კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები და საჯარო მოსმენა საქართველოს პარლამენტის იუსტიციის საკითხთა კომიტეტში 8

შერჩევის პროცესის შეფასება 10

გოჩა აბუსერიძე 14

გიორგი გოგიაშვილი 19

ეკა ზარნაძე 24

დევან თევზაძე 28

ქეთევან მესხიშვილი 33

ხევაზ ნადარაია 38

ბიძინა სტუჩუა 43

გიორგი შავლიაშვილი 48

დაშა ქოჩიაშვილი 54

დასკვნა 59

შესავალი

ევროკავშირის მედიაციის შედეგად 2021 წლის 19 აპრილს მმართველ პოლიტიკურ ძალასა და ოპოზიციური პარტიების ნაწილს შორის გაფორმებული შეთანხმების[1] მიუხედავად, რომელიც, სხვა პირობებთან ერთად, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნების შეჩერებას ითვალისწინებდა, საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 12 ივლისს, რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე თითქმის ერთპარტიული[2] მხარდაჭერით უზენაესი სასამართლოს 6 ახალი მოსამართლე:

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის განკარგულების[3] საფუძველზე 9 ვაკანტურ თანამდებობაზე დაიწყო. 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით მიღებული განცხადებების საფუძველზე, კონკურსში 50 კანდიდატი დარეგისტრირდა.[4] კანდიდატებთან გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამავე წლის 10 დეკემბრიდან დაიწყო. 2021 წლის 5 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე გამოაცხადა დამატებითი განცხადებების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით.[5] დამატებითი განცხადებების მიღების საფუძველზე, 2020 წლის 7 ოქტომბრის პროცედურაში დამატებით 2 კანდიდატი: თამარ

1 ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის, მიერ ხელისუფლებისა და ოპოზიციისათვის შეთავაზებული შეთანხმების დოკუმენტი იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/36PCsGP

2 კანდიდატებს მხარი ოპოზიციური პარტიებიდან მხოლოდ ევროპელი სოციალისტების ერთმა წარმომადგენელმა დაუჭირა. იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3md3cKl

3 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის განკარგულება - https://bit.ly/3zdtNtP

4 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება - https://bit.ly/3tLArpU

5 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება - https://bit.ly/3Ci4ett

ალფაიძე და მარინე ჭყონია, დარეგისტრირდა.[6] საბოლოოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭომ კანდიდატებთან გასაუბრება 2021 წლის 27 აპრილს დაასრულა.[7] 2021 წლის პირველ ივნისს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კონკურსში მონაწილე 32 კანდიდატების შეფასება და დასაბუთება წარმოადგინა,[8] საიდანაც, შემდგომში პარლამენტს 9 კანდიდატი წარედგინა.[9]

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ახალი მოსამართლეების დანიშვნას მწვავე და კრიტიკული განცხადებებით გამოეხმაურნენ ქვეყნის პარტნიორი სახელმწიფოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა 19 აპრილის შეთანხმებასთან წინააღმდეგობაში მყოფად შეაფასა ევროკავშირის პრეს-სპიკერმა. მან პირდაპირ მიუთითა, რომ „ეს კენჭისყრა საქართველოს ხელისუფლებისთვის არის დაკარგული შესაძლებლობა სასამართლო სისტემის ჭეშმარიტი და ყოვლისმომცველი რეფორმის მიმართ თავისი ერთგულების დამტკიცებისთვის."[10] ანალოგიურად შეაფასა საქართველოს პარლამენტის ეს ქმედება ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმაც, რომელმაც აღნიშნა: „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სწრაფი დანიშვნა სრულად არ ასახავს იმ კონსულტაციების შედეგებს, რომლებიც იყო საერთაშორისო პარტნიორებსა და, ასევე, ადგილობრივ დაინტერესებულ ჩართულ პირებთან. ეს ნამდვილად არის დაკარგული შესაძლებლობა."[11]

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის ფაქტს გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოც, 2021 წლის 15 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია: „პარლამენტის 12 ივლისის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში ექვსი მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით, მიუხედავად საქართველოს პოლიტიკურ ლიდერთა 19 აპრილის მკაფიო შეთანხმებისა, „თავი შეიკავონ უზენაეს სასამრთლოში არსებული წესებით მოსამართლეთა დანიშვნისგან" უაღრესად გულდასაწყვეტია. სამწუხაროა, რომ ამ წარდგენისა და დანიშვნის პროცესით და ინკლუზიური და ფართო სასამართლო რეფორმის განუხორციელებლობით, ვერ შესრულდა საქართველოს ლიდერების, მათ შორის, მმართველი პარტიის მიერ აღებული 19 აპრილის შეთანხმების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება."[12]

საქართველოს პარლამენტი შეთანხმების შესრულების მხრივ გამოჩენილი უმოქმედობის გამო გააკრიტიკა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმაც (OSCE/ODIHR) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნებულ ანგარიშში[13]. კერძოდ, ანგარიშში ნათქვამია, რომ „[საქართველოს] პარლამენტმა ვერ შეძლო შეექმნა ისეთი სამართლებრივი საფუძველი,

6 იქვე.

7 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება - https://bit.ly/2VSc9hA

8 საბოლოო ჯამში იუსტიციის საბჭომ 52 კანდიდატიდან (50 თავდაპირველად რეგისტრირებული და შემდგომ დამატებით 2 დარეგისტრირებული კანდიდატი) მხოლოდ 39-ს მოუსმინა, ვინაიდან დანარჩენმა პირებმა კანდიდატურები საჯარო მოსმენის გამართვამდე მოხსნეს იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება - https://bit.ly/2VTZFWM

9 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება - https://bit.ly/3nH2Uwf

10 იხილეთ ევროკავშირის პრეს-სპიკერის განცხადება - https://bit.ly/3hRqByp

11 იხილეთ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის განცხადება - https://bit.ly/3zxfUHp

12 იხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების 2021 წლის 15 ივლისის განცხადება - https://bit.ly/37R16aG

13 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიში იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/3eSMYBy

რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეაჩერებინებდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესს. [...] საქართველოში უზენაესი მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესს აკლდა ცხადი სტანდარტი და სახელმძღვანელო წესები, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ყველა კანდიდატის თანაბარ შესაძლებლობაზე, მიეღწია წარმატებისთვის. [...] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების აპლიკაციების, ბექგრაუნდების შემოწმებისა და ინტერვიუს პროცედურები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. [...] მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა 19 აპრილს მიღწეული შეთანხმებით აიღო ვალდებულება, შეეჩერებინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი, მან განსახილველად მაინც მიიღო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანსიაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურები.[14]" სწორედ ამავე პერიოდში გახდა ცნობილი, რომ ამ პროცედურის შეწყვეტას მმართველი პოლიტიკური ძალა არ აპირებდა. ირაკლი კობახიძის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენა და არჩევა პოლიტიკური შეთანხმების სულისკვეთებასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა.[15]

გარდა საერთაშორისო დონეზე გამოთქმული კრიტიკისა, პროტესტის ნიშნად საპარლამენტო მოსმენებში მონაწილეობაზე უარი თქვეს ოპოზიციური პარტიების ნაწილმა და სხვა არასაპარლამენტო სუბიექტების ნაწილმა[16]. შესაბამისად, ისეთი მნიშვნელოვანი პროცესი, როგორიც არის უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი ნაკლებობის არქონის პირობებში წარიმართა. შერჩევის წინა პროცედურისაგან განსხვავებით, საგრძნობლად იყო შემცირებული კრიტიკული კითხვების რაოდენობაც, რაც საზოგადოებას კანდიდატების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაძლებლობას არ უტოვებდა. მმართველი პარტიის წარმომადგენლების მიერ დასმული კითხვები კი ძირითადად სასამართლო სისტემაში 2012 წლამდე არსებული მდგომარეობისა და ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებებს მიემართებოდა.

2021 წლის 23 აგვისტოს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში გამოაქვეყნა[17], რომლის მიხედვითაც, „პარლამენტის მიერ განხორციელებული დანიშვნის პროცედურის ეტაპი კვლავინდებურად არ ითვალისწინებს საკმარის სამართლებრივ გარანტიებს, რაც უარყოფითად აისახება მთლიანი პროცესის სამართლიანობასა და სანდოობაზე."[18] დანიშვნის პროცესს გამოეხმაურა ODIHR-ის დირექტორი მატეო მეკაჩიც - „გადაწყვეტილებამ, დანიშვნის პროცესის გაგრძელების შესახებ, მაშინ როდესაც მას აკლდა ინკლუზიურობა და ეწინააღმდეგებოდა უკვე მიღწეულ შეთანხმებას პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით, რისკის ქვეშ დააყენა მისი სანდოობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საზოგადოების ნდობა სასამართლო

14 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3wUs5w5. ეუთო/ოდირის ანგარიში ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36QsNQj

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენისა და არჩევის შესახებ ირაკლი კობახიძის განცხადება იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3gOLudh

16 უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა საკომიტეტო მოსმენებში მონაწილეობა მიიღო: ქართული ოცნების, ევროპელი სოციალისტების, ე.წ. „გახარიას გუნდის" (საქართველოსთვის), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის, აკადემიური პერსონალის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA), სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და დამოუკიდებელ იურისტთა ჯგუფის წარმომადგენლებმა.

17 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიში ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3DmSuY7

18 იხილეთ ოფიციალური პრეს-რელიზი - https://bit.ly/2Wp27Va

სისტემისადმი საკმაოდ დაბალია.“[19]

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) უშუალოდ არ მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის საკომიტეტო მოსმენების პროცესში, და არ დაუსვამს კითხვები კანდიდატებისათვის, თუმცა ორგანიზაცია აქტიურად აკვირდებოდა გასაუბრების პროცესს როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ასევე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე დოკუმენტი ძირითადად მოიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველ კანდიდატებთან გამართული გასაუბრების ორივე ეტაპზე დაკვირვებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციის პირად შეხედულებებს კანდიდატთა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების თაობაზე. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე სწორედ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით შეირჩევა. კანდიდატების შეფასებისას სწორედ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით იხელმძღვანელეს.

19 იქვე.

კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები და საჯარო მოსმენა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში

საქართველოს კონსტიტუციის[20] 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, ხოლო დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ორგანული კანონით.[21] კანონმდებლობის ფორმალური მოთხოვნების დაკმყოფილების შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი გადის გასაუბრებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, იუტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, კანდიდატებთან გასაუბრებისა და მათ შესახებ თავად კანდიდატების მიერ წარმოდგენილი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შეგროვებული ინფორმაციის შეფასების შემდგომ, ვალდებულნი არიან თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით მოამზადონ შეფასების დოკუმენტი და შეაფასონ კანდიდატები კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისის 35[1] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის მიხედვით, **კეთილსინდისიერების კრიტერიუმის** მახასიათებლებია:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** შეფასებისას მოწმდება:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

დ) პროფესიული თვისებები;

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

ვ) პროფესიული აქტივობა.

ნომინირებისათვის კენჭი ეყრება კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს (ამასთან, დაგროვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტი უნდა იყოს), რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10-მა წევრმა მაინც უნდა მიიჩნიოს, რომ იგი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

საქართველოს პარლამენტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდი-

20 საქართველოს კონსტიტუცია, 1995. ელექტეონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kHhq3Z

21 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009. ელექტეონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DBZTCD

დატების მოსმენა მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გაწერილი პროცედურის მიხედვით. რეგლამენტის 205-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა არჩევის საკითხის განმსაზღვრელი კომიტეტია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. სწორედ ეს კომიტეტი ადგენს წარმოდგენილი თანამდებობის პირის კანდიდატურის საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამ მიზნით კანდიდატი ვალდებულია კომიტეტს სრულყოფილად მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია. თავის მხრივ, კომიტეტი უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს შესაბამისი თანამდებობის პირის კანდიდატურის შესახებ საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, მისი ბიოგრაფიული ცნობების, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ ინფორმაცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობისა და მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფს.[22]

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე კანდიდატის მოსმენა მიმდინარეობს საჯარო სხდომაზე და მისი ტრანსლირება ხდება პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. კანდიდატის მოსმენაში მონაწილეობისა და კითხვის დასმის უფლება აქვს როგორც კომიტეტის წევრებს, ასევე კომიტეტის არაწევრ პარლამენტარებს, ასევე სახალხო დამცველს, იურდიული წრის, ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებს, ასევე მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მოსმენის პორცესში კითხვის დასმის შესაძლებლობა მოქალაქეებსაც, რომლებიც წერილობით წარუდგენენ თავიანთ კითხვებს კომიტეტის თავმჯდომარეს და მოსმენის დასასრულს ეს უკანასკნელი აჟღერებს აღნიშნულ შეკითხვებს.

22 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

შერჩევის პროცესის შეფასება

GDI 2019 წლიდან აკვირდება საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კონკურსებს და პერმანენტულად აწვდის საზოგადოებას მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა სახით. GDI აქტიურად იყო ჩართული 2018 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებების საფუძველზე ჩატარებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკომიტეტო მოსმენის შემდეგ, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" მიერ კანდიდატთა შეფასების დოკუმენტის მომზადებაში, რომელიც კენჭისყრამდე წარედგინა საქართველოს პარლამენტის თითოეულ წევრს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით.[23] სამწუხაროდ, კოალიციის ხედვები მაშინ არც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრების და შემდგომში არც მთლიანად ქართული ოცნების წარმომადგენლების მიერ არ იქნა გაზიარებული.

აღნიშნული კონკურსის პირობებშიც, მიუხედავად 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელის მოწერისა და შიდა თუ საერთაშორისო დონეზე არაერთი მოწოდებისა, ქართულმა ოცნებამ ფაქტიურად ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ახალი ნაკადის დანიშვნის შესახებ, რითაც კიდევ უფრო გააუარესა ამ სასამართლოს ლეგიტიმაციის ხარისხი. საკომიტეტო მოსმენების შედეგად მმართველი პარტიის ათმა წევრმა ხმა მისცა ერთი და იგივე კანდიდატს. „კომიტეტის მიერ პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილ ანგარიშში ასახული არ იყო არგუმენტები იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე დაუჭირეს, ან არ დაუჭირეს მხარი კანდიდატებს, რამაც ეჭვები გამოიწვია იმასთან დაკავშირებით, ემყარებოდა თუ არა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებს. იმ ფაქტმა, რომ კომიტეტის მიერ სამი უარყოფილი კანდიდატიდან ორი იყო ქალი, რომლებსაც უფრო მაღალი შეფასებები ჰქონდათ მიღებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან ვიდრე, ზოგიერთ იმ კანდიდატს, რომლებსაც მხარი დაუჭირა და ამასთან კომიტეტმა არ წარმოადგინა არგუმენტაცია აღნიშნულის ასახსნელად, ეჭვის ქვეშ დააყენა კანდიდატების დამსახურებებზე დაფუძნებული შერჩევა."[24]

ცალკე უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატებთან გასაუბრების ეტაპი. ზოგადი დაკვირვების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ საბჭო არ ხელმძღვანელობდა რაიმე მკაფიოდ დადგენილი სანდარტებით კანდიდატებთან გასამართი დროის, დასმული კითხვების შინაარსისა და რაოდენობის თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებით, „გასაუბრებების ჩატარების პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სხვაობა მათ ხანგრძლივობაში, სტრუქტურასა და საერთო ატმოსფეროში, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამ პროცესში კანდიდატებისთვის გათვალისწინებული თანასწორობა. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული შიდა წინააღმდეგობები, წევრებსა და ზოგიერთ კანდიდატს შორის მტრული შელაპარაკებები, ზიანს აყენებდა პროცესების პროფესიონალურ დონეზე ჩატარებას."[25] კვლავაც პრობლემად რჩებოდა ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დარღვევა, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნიდა კანდიდატთა წარდგენის პროცესის სამართლიანობას.[26]

23 იხილეთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შეფასება - https://bit.ly/3D2ejM3

24 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიში ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3DmSuY7, გვ. 5

25 იქვე, გვ. 9

26 იქვე.

წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტი ეყრდნობა ერთი მხრივ ქართული მართლმსაჯულების სისტემის ირგვლივ არსებულ მდგომარეობას, ხოლო მეორე მხრივ, უშუალოდ პროცესის მონიტორინგის შედეგად მასში მონაწილე პირების შესახებ ორგანიზაციის შეხედულებებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციას უზენაეს სასამართლოში გამწესებული მოსამართლეების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით უფრო მეტი კითხვა აქვს, ვიდრე მათ კომპეტენციასთან. თუმცა არაერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელიც შესაძლოა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდეს. შესაძლოა ცალკეულ ღირებულებით საკითხთან დაკავშირებით მოსამართლეთა პასუხები მათი იდეოლოგიური ან უპირატესი სამართლებრივი შეხედულებიდან გამომდინარე განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, თუმცა არსებობს ნუსხა მთელი რიგი სამართლებრივი საკითხებისა, რომელთა პასუხებიც ამგვარი განსხვავების შესაძლებლობას არ იძლევა. მაგალითისათვის, ბუნდოვანი და გაუგებარი იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე გასაუბრების დროს თამარ ონიანის მიერ დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე ბიძინა სტურუას პასუხი.[27]

იყო შემთხვევა, როდესაც მოსამართლეობის კანდიდატს გაუჭირდა ერთმანეთისაგან განესხვავებინა და მკაფიო დეფინიცია შემოეთავაზებინა ნეპოტიზმის, ქრონიზმისა და ფავორიტიზმის განსამარტად.[28] არაამომწურავი იყო ამავე კანდიდატის პასუხი ულტრამემარჯვენე იდეოლოგიასთან და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მისგან მომდინარე რისკებთან დაკავშირებით.[29]

ასევე, მოსამართლე ქოჩიაშვილმა ვერ შეძლო ამომწურავად, თუნდაც შინაარსის დონეზე, ჩამოეთვალა ის კომპონენტები/ელემენტები, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია სოციალურ სახელმწიფოში მოიაზრებს.[30]

არასწორი იყო ეკა ზარნაძის მიერ შრომით სამართალში „ULTIMA RATIO"-ს პრინციპთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის პასუხი.[31]

ამასთანავე, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეჭვქვეშ დგებოდა არა მხოლოდ კანდიდატის კომპეტენცია, არამედ კეთილსინდისიერებაც. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების დროს, საბჭოს არამოსამართლე წევრის, ნაზი ჯანეზაშვილის ერთ-ერთი შეკითხვა, რომელიც მან რევაზ ნადარაიას დაუსვა, შეეხებოდა საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ იმპიჩმენტის საკითხის აღძვრასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დეტალებს. მოსამართლე ნადარაიას პასუხზე უფრო მეტად (რომელიც სრულყოფილი და ამომწურავი არ ყოფილა) მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომელზეც კითხვის ავტორმა გაამახვილა ყურადღება. ნაზი ჯანეზაშვილის თქმით, სწორედ რევაზ ნადარაია იყო საბჭოს ის წევრი, რომელმაც წინა კონკურსზე ერთ-ერთ კანდიდატს დაუსვა აღნიშნული კითხვები, „რომელმაც ძალიან დიდი სიზუსტით ჩამოთვალა ყველა ეს დეტალი".[32]

რაც შეეხება კანდიდატთა კეთილსინდისიერებას, ამ მიმართულებით ორი ტიპის

27 იხილეთ ბიძინა სტურუას გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - https://bit.ly/3xXGhFa [19:36 – 21:15]

28 იხილეთ რევაზ ნადარაიას გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - https://bit.ly/3z3yUgB [1:17:22 - 1:18:13]

29 იხილეთ რევაზ ნადარიას პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრ ნინო იობაშვილის შეკითხვაზე - https://bit.ly/3gixMyA

30 იხილეთ ლაშა ქოჩიაშვილის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - https://bit.ly/3kdpVTQ [9:37 – 10:38]

31 იხილეთ ეკა ზარნაძის პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრ მიხეილ დაუშვილის შეკითხვაზე - https://bit.ly/3CVJ9pI

32 იხილეთ რევაზ ნადარაიას გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - https://bit.ly/3z3yUgB [1:05:40 – 1:08:34]

კითხვები შეიძლება გამოვყოთ. პირველი მათგანი უკავშირდება 19 აპრილის შეთანხმების საპირისპიროდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის გაგრძელებას, ხოლო მეორე მათგანი - სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს და სასამართლო სისტემაში გავლენიანი ჯგუფის არსებობას, მათ შორის ლევან მურუსიძის „ლიდერობის" ფაქტორს.

ძირითადი არგუმენტი, რომელსაც კანდიდატები 19 აპრილის შეთანხმების ირგვლივ დასმულ კითხვებზე საპასუხოდ იშველიებდნენ, უკავშირდებობა მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს. მათი განმარტებით, პროცესის წარმართვა წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან და შესაბამისად ამ მხრივ ვერ ხედავენ რაიმე პრობლემას.[33]

ლევან მურუსიძესთან დაკავშირებით დასმულმა შეკითხვებმა აშკარა გაღიზიანება გამოიწვია რამდენიმე კანდიდატში, რაც უარყოფითად მეტყველებს როგორც მათ პროფესიულ ქცევასა და ეთიკაზე, ასევე დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.[34] ზოგიერთი მათგანი კი პირდაპირ ადასტურებდა ლევან მურუსიძის განცხადებას, რომ იგი სასამართლოს ლიდერია.[35] ხოლო რაც შეეხება სასამართლო სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და გავლენიანი ჯგუფის, ე.წ „კლანის" არსებობის შესაძლებლობას, მოსამართლეობის კანდიდატთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი 2012 წლის შემდეგ გაუმჯობესებულია, თუმცა არც მანამდე ჰქონია ადგილი მათზე რაიმე სახის პირდაპირ ზეწოლას და არც მათი კოლეგებისგან გაუგიათ ასეთი შემთხვევის შესახებ. რაც შეეხება გამოწვევებს, შერჩევის პროცესში მონაწილეები ყურადღებას ამახვილებდნენ საქმეთა დიდ ნაკადზე, რაც სასამართლოს გადატვირთ-ულობას იწვევს, და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან მომდინარე კრიტიკაზე.

ასევე ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს კანდიდატთა ნაწილის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ გამოვლენილი აგრესიული დამოკიდებულება და უარი მათ მიერ დასმული შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე.[36]

ცალკე უნდა აღინიშნოს ქეთევან მესხიშვილის შემთხვევა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ გაჟღერებული შეკითხვები. ამ მიმართულებით საგულისხმოა ქართული ოცნების წევრის დავით მათიკაშვილის შეკითხვები 2012 წელს ბანკი ქართუს სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით.[37] ასევე, კითხვები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში ასარჩევ კანდიდატთა ნომინირების

33 იხილეთ ბიძინა სტურუას პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრ ლევან იოსელიანის შეკითხვაზე - https://bit.ly/3CVHsIS ასევე გოჩა აბუსერიძის პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრ ლევან იოსელიანის შეკითხვაზე - https://bit.ly/3j1RaS8

34 იხილეთ რევაზ ნადარაიას პასუხები საქართველოს პარლამენტის წევრ ალეკო ელისაშვილის შეკითხვებზე - https://bit.ly/37Zvlwo https://bit.ly/3B03PeG

35 იხილეთ ლაშა ქოჩიაშვილის პასუხის საქართველოს პარალამენტის წევრ მიხეილ დაუშვილის შეკითხვაზე - https://bit.ly/3k7fwt3

36 იხილეთ რევაზ ნადარაიას პასუხი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის ვახუშტი მენაბდის შეკითხვაზე - https://bit.ly/3z5zniD ასევე, ლევან თევზაძის პასუხები ვახუშტი მენაბდის შეკითხვებზე - https://bit.ly/3mdyfWy და დამოუკიდებელ იურისტთა ჯგუფის წარმომადგენლის კახა წიქარიშვილის შეკითხვაზე - https://bit.ly/3mfgN41

37 იხილეთ ქეთევან მესხიშვილის საკომიტეტო მოსმენა - https://bit.ly/3geWuje [1:28:25 – 1:43:10] ასევე, იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიში ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3DmSuY7, გვ. 15, სქოლიო 31.

შესახებ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.[38]

კანდიდატების მიმართ განსხვავებულ მიდგომაზე ამახვილებს ყურადღებას ეუთოს დემოკრატიული ინტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიც საკუთარ ანგარიშში, კერძოდ, „ზოგიერთი პარლამენტარი მოსმენების ეტაპს პოლიტიკურ ტრიბუნად იყენებდა და კანდიდატებს უსვამდა კითხვებს ბოლოდროინდელ განხეთქილების გამომწვევ მოვლენებზე, შემდეგ კი მათი პოლიტიკურად წინააღმდეგობრივი მოსაზრებების გამო ეკამათებოდა და აკრიტიკებდა მათ, ან ეჭვი შეჰქონდა პოლიტიკურად დელიკატურ კითხვებზე კანდიდატების პასუხებში. ყოველივე ამის შედეგად ზოგიერთმა კანდიდატმა გარკვეულ კითხვებზე პასუხების გაცემაზე უარი განაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, უმეტესწილად ნეიტრალურობას ინარჩუნებდა, მან რამდენჯერმე მანაც გააკეთა განხადებები, ან ჩაერთო კამათში, რაც თავისი არსით პარტიულ ელფერს ატარებდა.“[39]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ 19 აპრილის ხეშეკრულების დარღვევისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მოწოდების უგულვებელყოფით გამართული პროცესი აზიანებს სასამართლოს რეპუტაციას და უარყოფითად მოქმედებს მის მიმართ საზოგადოების ნდობაზე. ახლადდანიშნულ მოსამართლეთა ლეგიტიმაციას ამცირებს ასევე პროცესის მიმართ ოპოზიციური პარტიებისა და არასაპარლამენტო ინსტიტუტების ნაწილის მიერ გამოთქმული უნდობლობაც. შერჩეული კანდიდატების მიმართ არსებობს არაერთი კითხვა, როგორც კომპეტენციის, ასევე კეთილსინდისიერების კუთხით.

38 იქვე, საქართველოს პარლამენტის წევრ მიხეილ დაუშვილის შეკითხვები 2:18:02 – 2:19:04 და ამავე თემაზე ალუდა ღუდუშაურის შეკითხვები - 2:20:09 – 2:32:40

39 იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიში ხელმისაწვდომია -https://bit.ly/3DmSuY7, გვ. 15

გოჩა აბუსერიძე

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გოჩა აბუსერიძე წარედგინა[40]. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გოჩა აბუსერიძეს 2021 წლის 6 ივლისს მოუსმინეს. კანდიდატის მოსმენა 3 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, გოჩა აბუსერიძე არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.[41] გოჩა აბუსერიძის თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრას 87 პარლამენტარი ესწრეობდა, საიდანაც 79-მა მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას, 5 წინააღმდეგი იყო, ხოლო 3-მა მათგანმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.42 მხარდამჭერთა შორის იყვნენ მხოლოდ ქართული ოცნების წარმომადგენლები (78 ხმა) და პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ ერთი წარმომადგენელი.

გოჩა აბუსერიძე მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ 2017 წლიდან გამწესდა.[43] 2017-2020 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე 1 წლის განმავლობაში ეკავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობა. 2021 წლის 26 მაისს მოსამართლეთა კონფერენციამ გოჩა აბუსერიძე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების შერჩევის შეჩერებას მოითხოვნდნენ.[44]

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძის სახელს უკავშირდება შ.პ.ს „ჯორჯიან მანგანეზის“ 200 მილიონი ლარით დაჯარიმები საქმე.[45]

40 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://bit.ly/3iftPMc

41 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/3z1ezbT

42 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3md3cKl

43 იხილეთ მოსამართლე გოჩა აბუსერიძის ბიოგრაფია - https://bit.ly/3z3m16e

44 იხილეთ არასამთავორობო ორგანიზაციების განცხადება - https://bit.ly/3gg1qUW

45 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/380I3uJ

გოჩა აბუსერიძე

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

მოსამართლე აბუსერიძის საპარლამენტო გასაუბრების შესაფასების ნაწილში საინტერესოა ლევან მურუსიძის ლიდერობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პასუხი. კანდიდატმა განაცხადა, რომ ლიდერობა შეფასებითი კატეგორიაა და როგორც სასამართლო ასოციაციის თავმჯდომარე და იუსტიციის საბჭოს ყოფილი მდივანი, შეიძლება ლევან მურუსიძე ლიდერად განვიხილოთ.

კითხვაზე, არის თუ არა მოსამართლე შეურაცხყოფილი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშით, სადაც სასამართლოს კლანზეა საუბარი, მოსამართლემ აღნიშნა, რომ შეურაცხყოფილი არ არის, თუმცა პარტნიორებს უფრო მეტი კომუნიკაცია რომ ჰქონდეთ სასამართლოსთან, ანგარიში ასეთი მკაცრი არ იქნებოდა.

სასამართლოში მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის არსებობასთან დაკავშრებით დასმულ კიდევ ერთ შეკითხვაზე კანდიდატმა განაცხადა, რომ ეს კითხვა ნიშნავს, რომ მას ვიღაც ეუბნება, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კონკრეტულ საქმეზე, რაც მისთვის შეურაცხმყოფელია. კანდიდატის თქმით, მისი საქმიანობა მისი გადაწყვეტილებებით უნდა შეფასდეს და მზადაა, რომ ნებისმიერ კითხვაზე გასცეს პასუხი. აღსანიშნავია, რომ სასამართლოში გავლენის ჯგუფის შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე მოსამართლეს მკაფიოდ არ დაუფიქსირებია პოზიცია.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე აბუსერიძემ განაცხადა, რომ პიროვნულად ის, როგორც მოსამართლე დღეს უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე 10 ან 20 წლის წინ. ამის მიზეზად კი დაასახელა კანონმდებლობა და რეგულაციები, რომლებიც მოსამართლის დამოუკიდებლობას ლახავდა. აღნიშნული პასუხი, გარკვეულწილად, დადებითად მეტყველებს კანდიდატის გულწრფელობასა და კეთილსინდისიერებაზე, რადგან მას შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის კრიტიკულად შეფასება, თუმცა ამავდროულად, მოსამართლე მთავარ პრობლემას სისტემაში ხედავს, თუმცა არ ახსენებს ინდივიდუალური მოსამართლის მედეგობისა და პიროვნული სიმტკიცეზის მნიშვნელობას, რასაც შეუძლია გარდატეხვის შეტანა სასამართლო დამოუკიდებლობის კუთხით.

ჰიპოთეტურ კითხვაზე, რას მოიმოქმედებდა მოსამართლე, თუ მის თანაშემწეს საჩუქარს აჩუქებდა მხარე, ვის საქმესაც ის იხილავს, კანდიდატმა უპასუხა, რომ აღნიშნულ ქმედებას კომუნიკაციის წესების დარღვევად ჩათვლიდა და შესაბამის მოხსენებას დაწერდა უფლებამოსილი პირის სახელზე, რომელიც გადაწყვეტდა, იყო თუ არა ეს კომუნიკაციის წესების დარღვევა და შესაბამისად დააჯარიმებდა მას ან არა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ არ დააყენებდა აცილების საკითხს, თუმცა საჩუქრის შესახებ შეატყობინებდა მეორე მხარესაც და თუ მისი მხრიდან იქნებოდა მიკერძოების განცდა, აცილების უფლებას გამოიყენებდა.

გოჩა აბუსერიძე

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანონიერებისა და სამართლიანობის დილემასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე კანდიდატმა უპასუხა, რომ არ არის მომხრე, რომ მოსამართლე კანონის უსამართლობას დაემორჩილოს. მისი აზრით „კანონმა უნდა დაუთმოს სამართლიანობას“. ამასთან, მოსამართლემ მაგალითად მოიყვანა საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილება, რომლის შედეგადაც კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობა ჩანაცვლდა სამართლის წინაშე თანასწორობით და აღნიშნა, რომ ამ ცვლილებას მიესალმება.

მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სასამართლოს შესახებ გაკეთებული განცხადებების შეფასებისას მოსამართლე აბუსერიძემ განაცხადა, რომ არ ეთანხმება თეა წულუკიანის მოსაზრებას, რომ 2012 წლამდე მოსამართლეები მიხეილ ჩინჩალაძის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ირაკლი კობახიძის განცხადებაზე, რომ 2012 წლამდე მოსამართლეებმა „მილიონი ცუდი საქმე გააკეთეს“ და ირაკლი ადეიშვილის გავლენის ქვეშ იყვნენ, აბუსერიძემ აღნიშნა, რომ, ალბათ, საზოგადოების აღქმა ასეთი იყო მაშინ და აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ამასთან, კანდიდატმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებას, რომ 2012 წლამდე მოსამართლეები იყვნენ ნოტარიუსები და დამონებული ჰყავდა „ნაციონალურ მოძრაობას“.

ქვიარ თემის პრობლემებსა და მათი გამოხატვის თავისუფლების შესახებ დასმულ კითხვაზე მოსამართლე აბუსერიძემ განაცხადა, რომ მთავარი პრობლემა არის საზოგადოების ტრადიციული ხედვები მიმღებლობასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ უმცირესობების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მათ შორის ძალადობით, არ მიაჩნია მართებულად და ღირსების შემლახავ ქმედებად მიიჩნევს. 2021 წლის 5 ივლისს ორგანიზებულ ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებით კი მოსამართლემ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ არასაკმარისი ზომები მიიღო.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის პიროვნული ქცევის შეფასებისთვისთვის აღსანიშნავია, რომ გასაუბრებისა და საპარლამენტო მოსმენის დროს მოსამართლემ თავშეკავებულობა და გაწონასწორებულობა გამოავლინა.

პროფესიული ქცევის ნაწილის შეფასებისას კი მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების ეტაპზე მოპოვებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მოსამართლე აბუსერიძემ საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა (99.6%) განიხილა საპროცესო ვადების დაცვით, ხოლო გადაწყვეტილებები ვადების დაცვით მოამზადა საქმეთა მხოლოდ 57%-ის შემთხვევაში.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების ეტაპზე მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გამოკითხული კოლეგები და რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და გამოარჩევენ მის ობიექტურობას, კეთილსინდისიერებას, სამართლიანობას, გულწრფელობას, პროფესიონალიზმსა და კორექტულობას.

გოჩა აბუსერიძე

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული მოსმენისას კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ დასმული კითხვებთან მიმართებაში იგი კარგად იცნობს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის კანონმდებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესახებ დასმულ შეკითხვაზე პასუხად მოსამართლე აბუსერიძემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი იძლევა სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას. კანდიდატმა ისაუბრა კოდექსის ზოგად თავზე, სადაც მითითებულია, რომ კონფისკაცია შესაძლებელია მხოლოდ პირის საკუთრებაში არსებული ქონების შემთხვევაში, თუმცა ასეთ დროსაც შესაძლებელია შენიშვნის გამოყენება იმისთვის, რომ მოსამართლემ უარი თქვას უფრო მკაცრი სანქციის გამოყენებაზე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმასთან ერთად კონფისკაციას მხარის უფლებებში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნევს. კანდიდატის განმარტებით, შენიშვნის გამოყენების უფლებას მოსამართლეს აძლევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციით აღიარებული უფლების დარღვევის დადგენა გახდეს ეროვნული სასამართლოს მიერ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საქმისწარმოების განახლების საფუძველი, მოსამართლემ უპასუხა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი არ იძლევა სამოქალაქო პროცესში არსებული ამ უფლების ადმინისტრაციულ საქმეებზე გავრცელების შესაძლებლობას, თუმცა ეს ნორმა უმოქმედოა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, რომელიც, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, უპირატესი ძალის მქონეა, ვიდრე ადმინისტრაციული პროცესის ჩანაწერი. ამასთან, კანდიდატმა აღნიშნა, რომ ეს ნორმა ცალსახად არაკონსტიტუციურია და მაგალითად მოიყვანა დავა, რომლის ფარგლებშიც სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მხარეს დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა, ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში საჩივარი წარდგენილი იყოს ორი ან მეტი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მოსამართლემ მაგალითად მოიყვანა „დნესტრისპირეთის საქმე“, როცა მოქალაქემ სარჩელი წარადგინა როგორც მოლდოვას, ისე რუსეთის წინააღმდეგ და სასამართლომაც შესაბამისად გადაწყვიტა აღნიშნული დავა.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

გამოხატვის თავისუფლების ფარგლების შესახებ დასმულ შეკითხვაზე გოჩა აბუსერიძემ მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად მიმოიხილა გამოხატვის თავისუფლების საქართველოში მოქმედი სტანდარტი, რომელიც ამერიკულ სტანდარტს შეადარა და აღნიშნა, რომ თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს აწესებს, როგორიცაა საჯარო მორალი, ჯანმრთელობა და სასამართლო ავტორიტეტი, საქართველოს კონსტიტუცია ასეთ დანაწესს არ ადგენს. კანდიდატმა აღნიშნა, რომ აქედან გამომდინარე დღეს საქართველოში გამოხატვის უფრო მაღალი სამართლებრივი სტანდარტია, ვიდრე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. იქვე დააფიქსირა

გოჩა აბუსერიძე

საკუთარი პოზიცია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება თითოეული შემთხვევის შეფასებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის ადამიანების დასჯის მართებულობის შესახებ დასმულ შეკითხვაზე მოსამართლე აბუსერიძემ არ განავითარა მსჯელობა ამ საკითხის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შესახებ და ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც მხოლოდ საჯარო სივრცეში მოხმარებაა დასჯადი, პირადი მოხმარება კი თვითგანვითარების უფლებად იქნა აღიარებული. აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოხატვის მიზნით აბუსერიძემ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ პირადად არასდროს მოუხმარია და სიგარეტიც კი არ გაუსინჯავს, რადგან ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

სამსახურიდან პირის უკანონოდ გათავისუფლების დამტკიცების შემთხვევაში მისი თანამდებობაზე აღდგენის საკითხის შესახებ დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა მაგალითად მოიყვანა საქმე თავისი სამოსამართლო პრაქტიკიდან და აღნიშნა, რომ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განმარტებული არ არის, თავად განმარტა საკუთარ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც ტოლფასი თანამდებობა ის თანამდებობაა, რომლითაც არსებითად არ იცვლება პირის როგორც სამართლებრივი, ისე სახელფასო მდგომარეობა.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

გასაუბრების ორივე ეტაპზე კანდიდატი ძირითადად ნათლად, გასაგებად და გაწონასწორებულად აყალიბებდა საკუთარ პოზიციას. პასუხების გაცემის დროს მისი მსჯელობა მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული იყო.

დ) პროფესიული თვისებები

საკუთარი პრაქტიკიდან მაგალითების მოყვანის დროს კანდიდატი მაქსიმალურად შეეცადა, არაიდენტიფიცირებადი დაეტოვებინა პირთა ვინაობა, რაც მისი მხრიდან პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვაზე მეტყველებს.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მოსამართლე აბუსერიძე მონაწილეობს ადგილობრივ და სართაშორისო სასწავლო-პროფესიულ ტრენინგებსა და კონფერენციებში, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საკითხებზე, სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტებზე, სამოსამართლო ეთიკისა და საოჯახო ურთიერთობების სამართალის თემაზე გამართულ ღონისძიებებში.

ვ) პროფესიული აქტივობა

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 2012-2020 წლებში იყო აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თემაზე ლექციებს კითხულობს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალებში: „მართლმსაჯულება და კანონი“ და „ადვოკატი“. მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: „დაინტერესებულ პირთა უფლებები სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით“, „სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით“, „პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში“.

გიორგი გოგიაშვილი

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გოგიაშვილი წარედგინა[46]. საქართველოს პარალმენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გიორგი გოგიაშვილს 2021 წლის 6 ივლისს მოუსმინეს. მოსამართლე გიორგი გოგიაშვილის მოსმენა 3 საათი და 44 წუთი გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, გიორგი გოგიაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.[47] გიორგი გოგიაშვილის თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრას 87 პარლამენტარი ესწრეობდა, საიდანაც 79-მა მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას, 4 წინააღმდეგი იყო, ხოლო 4-მა მათგანმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[48] მხარდამჭერთა შორის იყვნენ მხოლოდ ქართული ოცნების წარმომადგენლები (78 ხმა) და პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ ერთი წარმომადგენელი.

გიორგი გოგიაშვილი 2001-2005 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო 2005-2010 წლებში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.[49] ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გიორგი გოგიაშვილი სამოსამართლო საქმიანობას 2016 წელს დაუბრუნდა და 2021 წლამდე იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე, მათ შორის, 2017 წელს თანამდებობაზე გამწესდა უვადოდ.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე საჯარო მოსმენის დროს, დამოუკიდებელ იურისტთა ჯგუფის წარმომადგენლის კახა წიქარიშვილის მიერ დასმული კითხვების საპასუხოდ მოსამართლე გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ იგი ზურაბ ადეიშვილის შვილის ნათლიაა, ასევე მაშინ როდესაც იგი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდოამრედ დაინიშნა მიხეილ ჩინჩალაძე მისი თანაშემწე იყო.[50]

46 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

47 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/2UumI9V

48 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3yXBMf2

49 იხილეთ გიორგი გოგიაშვილის ბიოგრაფია - https://bit.ly/37WqZ9i

50 იხილეთ გიორგი გოგიაშვილის საპარლამენტო მოსმენა - https://bit.ly/3zcqPXn პირველი კითხვა - 31:30 - 32:04, მეორე კითხვა - 32:05 -32:27

გიორგი გოგიაშვილი

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

მოსამართლე გოგიაშვილთან საპარლამენტო მოსმენა ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, არ ჰქონია ადგილი რაიმე აშკარა და ღია დაპირისპირებას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მის მიერ გაცემული პასუხები გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენდა. მაგალითად, სასამართლო სისტემის მისამართით არსებულ კრიტიკასთან დაკავშირებით, მოსამართლე გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ *„ის კრიტიკა, რაც სასამართლო ხელისუფლების მიმართ მოდის, შეიძლება მე პერსონალურად არ მეხებოდეს, მაგრამ, როდესაც სისტემა მასობრივი საშუალებების მხრიდან ასეთი კრიტიკული წნეხის ქვეშ არის, ჩემზე, რასაკვირველია, მოქმედებს და ვისურვებდი, რომ უფრო ჯანსაღ გარემოში მემუშავა. რასაკვირველია, ეს ასეა და მე ვერ დავიჯერებ, რომ სხვა მოსამართლესაც არ სურდეს ის, რომ უფრო მეტი ავტორიტეტი იყოს, უფრო მეტი მხარდაჭერა იყოს სასამართლო ხელისუფლების მიმართ. მოქმედებს უარყოფითად.“*

ამასთანავე, 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმასთან და შერჩევის პროცესში შემდგომში მონაწილეობასთან დაკავშირებით გიორგი გოგიაშვილმა განამრტა, რომ *„აი, იცით რა, მე ვერ მოვისმინე, რა რეფორმაზეა საუბარი, რა უნდა გატარდეს. ეს წინადადებები მე მოსმენილი არა მაქვს. თუნდაც ის დრო რისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ეს კონკრეტული წინადადებები მე არ მომისმენია და ნუ დალოდებას რაც შეეხება ეხლა 11 წელი ვიყავი სასამართლო სისტემიდან წასული და...“*

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

1994 წელს პროკურატურაში სტაჟირების პერიოდში არსებულ კორუფციაზე საუბრისას გიორგი გოგიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტებზე საჯაროდ განცხადება არ გაუკეთებია. მისი პასუხის თანახმად ეს არც თვალის დახუჭვა იყო ამ ფაქტზე და არც პრინციპულობის ნაკლებობა. მას როგორც სტაჟიორს მსგავს ფაქტებთან შეხება არ უწევდა. კანდიდატის განცხადებით მას არასდროს არ მიუღია ისეთი გადაწყვეტილება რომელიც შემდგომში ინანა, თუმცა იყო შემთხვევები როცა დარწმუნებული არ იყო მის სისწორეში.

გიორგი გოგიაშვილმა ასევე ისაუბრა მუსტაფა ემრე ჩაბუქის[51] საქმეზე, რასთან დაკავშირებითაც განაცხადა, რომ მის მიერ განსხვავებული აზრის დაწერა “არაფერს არ შეცვლიდა”, რადგან ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი არ საჩივრდება. შესაბამისად, მისი მოსაზრებით “ეფექტურობის თვალსაზრისით არაფრის მომცემი არ იყო”. აქედან გამომდინარე, მან არ ჩათვალა საჭიროდ განსხვავებული აზრის დაწერა.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

გოგიაშვილის განმარტებით “მოსამართლეს არ უნდა შეეშინდეს როდესაც საზოგადოებრივი

51 დემირელის სახელობის კოლეჯის მენეჯერი. ჩაბუქის გადაცემას საქართველოსგან ითხოვდა თურქეთის ხელისუფლება, რომელიც მას ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში ადანაშაულებდა. ქართველმა სამართალდამცავებმა ის 2017 წლის მაისში თბილისში დააკავეს. მუსტაფა ემრე ჩაბუქი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა და აცხადებდა, რომ თურქეთში ექსტრადიციის შემთხვევაში მას ემუქრებოდა პოლიტიკური მოტივით დევნისა და არაადამიანური მოპყრობის საფრთხე. ამავე მიზეზით, ჩაბუქის ექსტრადიციას დაუშვებლად მიიჩნევდნენ ქართველი უფლებადამცველები და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია.

აზრის წინააღმდეგ შეიძლება მოუწიოს წასვლა, როდესაც მისი გადაწყვეტილება სამართლიანია, როდესაც მისი გადაწყვეტილება კანონიერია და მას შეუძლია თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთოს."

კანდიდატმა განაცხადა რომ სამართლიან და კანონიერ გადაწყვეტილებებს შორის კონფლიქტისას იგი სამართლიანობის პრინციპს ვერ დათმობს. მიუხედავად იმისა რომ სამოქალაქო და საჯარო სამართალს შორის საკანონმდებლო დონეზე განსხვავებული მიდგომებია, გოგიაშვილის განცხადებით ყველაფერი მოსამართლის „ხელოვნებაზეა" დამოკიდებული.

საკონსტიტუციო წარდგინებაზე საუბრისას მან ასევე მოიყვანა პოლონელ მოსამართლეთა მაგალითი, მისი თქმით ისინი „მისდევენ იმ პრაქტიკას, რომ არ უყვართ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა იმიტომ, რომ ეს ხანგრძლივი სიამოვნებაა". მოსამართლე გოგიაშვილის განმარტებით "ნორმის კონსტუტუციურობის შეფასება არ არის მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზივი". იმ შემთხვევაში თუ ნორმა არაკონსტიტუციურად მიაჩნია მოსამართლემ, მას შეუძლია იხელმძღვანელოს კონსტიტუციით და თავად განმარტოს კანონი. იგი მიმართვის საჭიროებას ხედავს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნორმის არაკონსტიტუცირობა შეიძლება გახდეს სადავო.

გიორგი გოგიაშვილმა განაცხადა, რომ მას არ გაუკეთებია განცხადება "მეც მურუსიძე ვარ" 2016 წელის 1 თებერვალს, როცა მოსამართლეთა კონფერენციაზე მოსამართლეთა ნაწილმა ღიად გამოხატა ლევან მურუსიძის მხარდაჭერა. ასევე კითხვაზე სასამართლო პროცესზე მისცემდა თუ არა ადვოკატს უფლებას შემოსულიყო დარბაზში მაისურით "კლანი უნდა წავიდეს" კანიდდატმა უპასუხა რომ შემოუშვებდა.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

19 აპრილის შეთანხმების საფუძველზე მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე კანდიდატმა განაცხადა, რომ იმ პერიოდში როცა სასამართლო ხელის-უფლება ასეთი კრიტიკული წნეხის ქვეშ იმყოფება ეს მასზე უარყოფითად მოქმედებს და ისურვებდა უფრო ჯანსაღ გარემოში ემუშავა.

ლევან მურუსიძის სასამართლო პრაქტიკის განხილვისას კანდიდატმა არაერთხელ აარიდა კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას თავი, რაც ეთიკის კოდექსისა და ბანგალორის პრინციპების მოთხოვნებით ახსნა. ასევე თავი შეიკავა ისეთი ქართველი მოსამართლის სახელის დასახელებისაგან რომლისაც მას სჯერა მორალურადაც და პროფესიულადაც.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, კოლეგებსა და რეკომენდატორთა შორის სარგებლობს მაღალი საქმიანი რეპუტაციით. კანდიდატის განმარტებით დასაფასებელია ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების მიერ თამამი გადაწყვეტილებების მიღება რადგან მათ შეიძლება უფრო ადრე იგრძნონ ცვლილების საჭიროება.

მოსამართლე გოგიაშვილი შეეცადა თავი აერიდებინა ლევან მურუსიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციით დაცული უფლებების დარღვევაზე დასმული კითხვებისათვის, თუმცა კითხვაზე, განიცდიდა თუ არა დისკომფორტს ამგვარი გადაწყვეტილებების არსებობის გამო, გიორგი გოგიაშვილმა

გიორგი გოგიაშვილი

განმარტა -„როგორ არა მაქვს, ვისურვებდი, რომ სტრასბურგის სასამართლოს რაც შეიძლება მინიმალური დოზით და ნაკლები დოზით გაეუქმებინა საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მაგრამ ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ იმ სიტუაციას, როდესაც ეს ხდება. ეს ყოველთვის მოხდება, როგორც არ უნდა ვეცადოთ.“

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

გასაუბრების ორივე ეტაპზე გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, ჩნდება განცდა რომ მოსამართლე გოგიაშვილი ერთი მხრივ ცდილობს გაეცნოს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ხოლო მეორე მხრივ - საკუთარი პოზიციის დასაბუთებისას თანმიმდევრულად გამოიყენოს აღნიშნული ცოდნა.

კითხვაზე იყო თუ არა კვების ობიექტის მიერ შშმ პირთათვის სადილის უფასოდ მიწოდება დისკრიმინაცია, კანდიდატმა საკუთარი პასუხი დაასაბუთა სხვადასხვა სამართლებრივი წყაროს გამოყენებით და განმარტა რომ აღნიშნული არ იყო დისკრიმინაცია. საკუთარი პასუხის დასაბუთებისას, მოსამართლე გოგიაშვილმა პირველ რიგში გამოიყენა დისკრიმინაციის შესახებ საქართველოს კანონში არსებული მოწესრიგება, რომლის მიხედვითაც "თანაბარი მოპყრობის პრინციპი, გარდა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობებისა კერძო სამართლერბივ ურთიერთობებზეც უნდა იქნას გამოყენებული". მან აღნიშნა რომ დისკრიმინაციის ფაქტის შეფასებისას მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს თუ რამ გამოიწვია სეგრეგაცია, გაყოფა. შემდგომ აღნიშნული განმარტა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე, რომ "როდესაც გაყოფა, დიფერენციაცია ატარებს თვითნებურ ხასიათს ამ შემთხვევაში დგინდება დისკრიმინაციის ფაქტი". საბოლოოდ კი შეეცადა აღნიშნული დაეკავშირებინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს რომ იგი იცნობს ქართულ და საერთაშორისო სამართლის საკანონმდებლო ბაზასა და პრატქიკას. ასევე, აქვს უნარი აღნიშნული ინფორმაცია დასაბუთებისას გამოიყენოს თანმიმდევრულად, კორექტულად და არგუმენტირებულად.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მისი მსჯელობის უნარი გამოჩნდა 5-6 ივნისის მოვლენების განხილვის დროსაც. მიუხედვაად იმისა, რომ კანდიდატმა თავი შეიკავა აღნიშნული საკითხის პოლიტიკურ ჭრილში შეფასებისგან, მან ახსნა საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტები გამოხატვის თავისუფლების შესახებ. კერძოდ, როგორ ფასდება ამ უფლებაში ჩარევის პროპორციულობა. გიორგი გოგიაშვილმა ახსენა სახალხო დამცველის ანგარიში და მასში წამოჭრილი პრობლემები, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების შესახებ. საბოლოოდ კი გაიმეორა ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული "მყისიერი საფრთხის ტესტი" რომელსაც ქართული სამართლის სისტემა იზიარებს".

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ასევე საპარლამენტო მოსმენაზე კანდიდატი საუბრობდა გამართულად, თანმიმდევრულად. გარკვეულ შემთხვევებში თავს არიდებდა კითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემას.

გიორგი გოგიაშვილი

დ) პროფესიული თვისებები

საკუთარი სასამართლო პრაქტიკის განხილვისას კანდიდატი იცავდა ეთიკის ნორმებს. საუბრისას იყო გაწონასწორებული. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით საპროცესო ვადების დაცვის საშუალო მაჩვენებელი აქვს.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მოსმენაზე კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა მის მიერ დაწერილ წიგნზე, სადაც საუბარი იყო პოლიციურ სახელმწიფოზე. მოსამართლე გოგიაშვილი არის არაერთი პუბლიკაციისა და ნაშრომის ავტორი. ეწევა სამეცნიერო - პედაგოგიურ საქმიანობას. ასევე აღნიშნა, რომ სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებისას 2001-2005 წლებში მისი სახელით ქვეყნდებოდა სტატიები სადაც იგი საუბრობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის მიერ სასამართლო სისტემაზე უარყოფითი გავლენის მოხდენაზე.

ვ) პროფესიული აქტივობა

კანდიდატის განცხადებით მისთვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა და აქტიურად მუშაობს სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების, რესპუბლიკური მოწყობის სხვადასხვა ფორმების შემუშავებაზე.

ამასთანავე, მოსამართლე გოგიაშვილი აქტიურად იღებდა მონაწილეობას განგრძობითი სწავლების სხვადასხვა ღონისძიებაში, მაგალითად: გაეროს 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენციის გამოყენების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ ტრენინგში, ასევე, სამოსამართლო მენეჯმენტის კუთხით გამართულ ტრენინგში.

ეკა ზარნაძე

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ეკა ზარნაძე წარედგინა[52]. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ეკა ზარნაძეს 2021 წლის 7 ივლისს მოუსმინეს. კანდიდატის მოსმენა 4 საათსა და 9 წუთს გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, ეკა ზარნაძე არ იქნა არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ.[53] ეკა ზარნაძის თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრასაც 87 პარლამენტარი ესწრეობდა, საიდანაც მხოლოდ 5-მა დაუჭირა მხარი მის კანდიდატურას, 6 წინააღმდეგი იყო, ხოლო 76-მა მათგანმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[54]

ეკა ზარნაძის სამოსამართლო კარიერა 2007 წლიდან იწყება.[55] 2007-2011 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. წლების მანძილზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა მცხეთისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. 2019 წლიდან მოსამართლე ზარნაძე თანამდებობაზე გამწესდა უვადოდ. ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ეკა ზარნაძესთან გასაუბრება მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატსა და საქართველოს პარლამენტის წევრებს, ასევე არასაპარლამენტო სუბიექტების წარმომადგენლებს, შორის არ ჰქონია ადგილი ღია და აშაკარა დაპირისპირებას.

აღნიშნულის მიუხედავად, გამოიკვეთა კითხვათა გარკვეული კატეგორია, რომელთან დაკავშირებითაც მოსამართლე ზარნაძე ცდილობდა არაპირდაპირ, გვერდის ავლით გაეცა პასუხები. ასეთი კითხვების რიცხვს მიეკუთვნებოდა, მათ შორის: 19 აპრილისა და სასამართლო სისტემაში გავლენიანი ჯგუფის შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით დასმული შეკითხვები.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ შეგროვებული და მოსამართლე ზარნაძის შესახებ რეკომენდატორების მიერ წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით,

52 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

53 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/3sANJ8g

54 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3k1ZzUZ

55 იხილეთ ეკა ზარნაძის ბიოგრაფია - https://bit.ly/3sD8U9K

ეკა ზარნაძე

იგი კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს. გამოკითხულ პირთა შეფასების მიხედვით, არის პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქე, გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება, ახასიათებს სიმართლისმოყვარეობა.

ამასთანავე, საპარლამენტო გასაუბრების დროს 19 აპრილის შეთანხმებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კონკურსთან და სასამართლოს მიმართ არსებულ ნდობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა და მოიშველია ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის სიტყვები, რომლის მთელი სულისკვეთება და პათოსი იმგვარი იყო, რომ მოსამართლე არ უნდა იყოს ჩართული პოლიტიკურ პროცესებში.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

მოსამართლეთა მიერ კონკრეტული სასამართლოების თავმჯდომარეების დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, ეკა ზარნაძემ უპასუხა - *„ვფიქრობ, ზუსტად იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებას გარკვეული შეიძლება კითხვა ჰქონდეს, უკეთესი შეიძლება იყოს, რომ იყოს არჩევითი. იმიტომ, რომ ის გარკვეული, ვთქვათ, რაღაც საკითხები, რაც ისმის აქტიურად და, თუნდაც ავტორიტეტის თვალსაზრისით, შეიძლება ამას ამან ხელი შეუწყოს.“ თუმცა იქვე აღნიშნა, შედეგობრივი თვალსაზრისით ამგვარი ცვლილება რაიმე განსაკუთრებულ გაუმჯობესებას მოიტანს თუ არა ვერ ხედავს.*

სასამართლო სისტემაში პრვილეგირებული, გავლენიანი ჯგუფის შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე მოსამართლე ზარნაძემ ორაზროვანი და ბუნდოვანი პასუხი გასცა, მისი თქმით - *„შეიძლება იყოს. მე იმის თქმა მინდა, რომ თითოეულმა... შეიძლება არ იყოს. მე ამაზე ესეთ კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ.“*

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ასევე საპარლამენტო გასაუბრების დროს კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი და კორექტული იყო. მის შესახებ არსებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ მის წინააღმდეგ ერთი დისციპლინური წარმოება იყო დაწყებული დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადბეული დასკვნის საფუზველზე, რომლის ფარგლებშიც ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, ხოლო საბჭომ შეტყვიტა წარმოება. ამასთანავე ხშირად მიუთითებს და იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, გამოკითხულ პირთა და რეკომენდატორთა შეფასებით, მოსამართლე ზარნაძე სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები მის ნაკლოვანებებს არ აღნიშნავენ.

ეკა ზარნაძე

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

ეკა ზარნაძის მიერ გასაუბრების პროცესში გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ სამართლებრივ საკიხთებთან დაკავშირებით მისი ცოდნის დონე საკმაოდ მაღალია, თუმცა გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონკრეტული საკითხის მიმართ მისი პასუხები არადამაკმაყოფილებელი იყო.

მოსამართლე ზარნაძემ არასწორი პასუხი გასცა კითხვაზე, თუ რას ნიშნავს „Ultima Ratio"-ს პრინციპი შრომით სამართალში - *„თუ არ ვცდები ეს გულისხმობს შეთანხმებას ხომ? თუ არ ვცდები, შეიძლება მეშლება, შეთანხმებას მხარეებს შორის მედიაციის შედეგად. თუ ვცდები."*

მართალია ეკა ზარნაძემ გასაუბრების ორივე ეტაპზე გასცა პასუხი გამოხატვის თავისუფლების ასპექტებთან დაკავშირებულ შეკითხვებს, მაგრამ უშუალოდ 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თავს შეიკავებდა აღნიშნულის შეფასებისაგან, ვინაიდან შესაძლოა მომავალში მის მიერ ყოფილიყო გარკვეული საკითხები განსახილველი.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

გასაუბრების ორივე ეტაპზე, მოსამართლე ზარნაძე ცდილობდა საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, საკუთარი პოზიციის კარგი დასაბუთებისა უნარის გამოვლენას. საპარლამენტო გასაუბრების ეტაპზე, რამდენჯერმე ეთხოვა დროის სიმცირის გამო შედარებით მოკლედ ჩამოეყალიბებინა საკუთარი პოზიცია ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას, როდესაც ამომწურავი პასუხის გაცემის სურვილის გამო ცდილობდა სამართლებრივი ნორმებისა თუ სხვა დამატებითი არგუმენტების მოშველიებას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, როგორც გადაწყვეტილებებში ასევე სამეცნიერო პუბლიკაციებში მოსამართლე ზარნაძე აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, კარგად ავითარებს მსჯელობას, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე და საფუძვლიანად ასაბუთებს დასკვნას.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე საპარლამენტო მოსმენის დროს მოსამართლე ზარნაძეს არ გამოუვლენია აშკარა უპატივცემულობა ან მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი დამოკიდებულება რომელიმე თანამოსაუბრის მიმართ. ორივე აღნიშნული გასაუბრების მონიტორინგის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ეკა ზარნაძე გამართულად მეტყველებს, გააჩნია სხივის აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის, მოთმიმენით მოსმენის უნარი. თავის მხრივ, საკუთარ აზრს აყალიბებს ნათლად, გარკვევით და დამაჯერებლად.

დ) პროფესიული თვისებები

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მომზადებული შეფასების მიხედვით, მოსამართლე ზარნაძე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების კარგი უნარი, შრომისმოყვარე, გულმოდგინე და დისციპლინირებული პიროვნებაა.

ეკა ზარნაძე

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

ეკა ზარნაძე, გარდა იმისა რომ ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, არის სამართლის დოქტორი, აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. თბილისის მასშტაბით სხავადსხვა უმაღლეს სასწავლებელში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. არის სამართლებრივი სტატიებისა და წიგნების ავტორი/თანაავტორი, მათ შორის: „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები“ *(მოხსენება, ავტორი), "სავარჯიშოები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში" (სახელმძღვანელო, თანაავტორი), "ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ“ (სტატია, ავტორი) და სხვა.*

ვ) პროფესიული აქტივობა

გარდა იმისა, რომ მოსამართლე ზარნაძე თავად არის არაერთი სტატიისა თუ სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მომზადებულ შეფასებებში ნათქვამია, რომ აქტიურად ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. მის შესახებ არსებული ინფორმაციის მიხედვით დგინდება, რომ მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სამართლებრივ ღონისძიებაში, მაგალითად: იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ შემდეგ ტრენინგებში: როგორ გავუმკლავდეთ ურჩ და არაკვალიფიციურ მხარეს (ადვოკატი, პროკურორი) რათა ხელი შევუწყოთ წესრიგის დაცვას და ჭეშმარიტების ძიებას; ოჯახში ძალადობის საქმეების თავისებურებები; მოსამართლის როლი პანდემიის დროს და სხვა.

ლევან თევზაძე

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან თევზაძე წარედგინა[56]. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ლევან თევზაძეს 2021 წლის 7 ივლისს მოუსმინეს. კანდიდატის მოსმენა 3 საათსა და 41 წუთს გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, ლევან თევზაძე არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.[57] ლევან თევზაძის თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრას 87 პარლამენტარი ესწრეობდა, საიდანაც 77 ხმა, ანუ საჭიროზე ზუსტად ერთი ხმით მეტი მოაგროვა. მის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა 6-მა პარლამენტარმა, ხოლო 4-მა მათგანმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[58] მხარდამჭერთა შორის იყვნენ მხოლოდ ქართული ოცნების წარმომადგენლები (77 ხმა) და პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ ერთადერთი წარმომადგენელი.

ლევან თევზაძის სამოსამართლო კარიერა 2008 წლიდან იწყება.[59] 2001-2007 წლებში ლევან თევზაძე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის და შს სამინისტროს სხვადასხვა თანამდებობებზე. 2008 წელს, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნიდან მალევე გახდა ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლევან თევზაძეს, სამოსამართლო კარიერის მანძილზე ხშირად ეკავა მენეჯერული პოზიციები, მათ შორის: პალატის/სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობსას, საბჭოს შემადგენლობაში იყო მისი დის ქმარი, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე (წლების განმავლობაში იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე) - ირაკლი შენგელია.

ლევან თევზაძის სახელს უკავშირდება ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, კერძოდ, თელასის ფინანსური მენეჯერის მკვლელობისთვის მსჯავრდებულების საქმე. 2014 წელს აღნიშნული საქმე სააპელაციო წესით ლევან თევზაძემ განიხილა.[60]

56 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

57 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/3maqq3S

58 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3mblNqj

59 იხილეთ ლევან თევზაძის ბიოგრაფია - https://bit.ly/3mugi6n

60 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/2UzzT9B

ლევან თევზაძე

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

ლევან თევზაძის გასაუბრებას მისი განვილილი კარიერა დამატებით ინტერესს სძენდა. როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი და სხვადასხვა დროს მაღალი მენეჯერული თანამდებობის მქონე მოსამართლე, ლევან თევზაძე, სასამართლო სისტემაში არსებულ გავლენიან ჯგუფთან დაახლოებულ პირად ითვლება. 2019 წელს მიმდინარე კონკურსიდან საკუთარი კანდიდატურა მოსამართლე თევზაძემ ნეპოტიზმთან დაკავშირებული ბრალდებების გამო მოხსნა, იგი საბჭოს ყოფილი წევრის - ირაკლი შენგელიას ცოლის ძმაა.[61] ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, საკომიტეტო მოსმენის ფარგლებში არასაპარლამენტო ინსტიტუტების წარმომადგენელთა, ისევე როგორც საპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკოსების კითხვები დაკავშირებული იყო უფრო მეტად მის კეთილსინდისიერებასთან, ვიდრე კომპეტენციასთან და კონკრეტული სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან.

აღნიშნული გარემოება, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, განხილვის საგანი იყო როგორც საბჭოში, ასევე პარლამენტში მიმდინარე გასაუბრების დროს, რაც მოსამართლე თევზაძეში აშკარა გაღიზიანებას იწვევდა. გასაუბრების ორივე ეტაპზე იყო მომენტები, როდესაც იგი აშკარად უპირისპირდებოდა თანამოსაუბრეს და ავლენდა მოსამართლის მაღალ სტატუსთან შეუფერებელ ქცევას.

გასაუბრების პროცესში მოსამართლე თევზაძე არ ავლენდა მიმღებლობას განსხვავებული აზრის მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მოსაზრება სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს, მათ შორის გავლენიანი ჯგუფის შესაძლო არსებობას შეეხებოდა.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

მართალია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მომზადებული შეფასების მიხედვით, ლევან თევზაძე ხასიათდება, როგორც პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქე, რომელსაც ასევე გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება, მაგრამ ამ მიმართულებით მისი შეფასებისას, საინტერესოა ის პასუხები, რომელიც მან საპარლამენტო მოსმენის პროცესში 2012 წლამდე სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით დააფიქსირა.

მოსამართლე თევზაძე ცდილობდა ისეთი ზოგადი, ნაკლებად კონკრეტული ფრაზებით შემოფარგლულიყო, როგორიც არის: *„დამოუკიდებლობის კუთხითაც იყო პრობლემები“.* კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლეებზე ზეწოლას, ლევან თევზაძემ სხვა მოქმედი თუ ყოფილი მოსმართლეების მსგავსი პასუხი გასცა - „მე არ ვიცი, ჩემ მიმართ არ ყოფილა.“

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

როგორც უკვე ითქვა, მოსამართლე თევზაძის განცხადებით, მის მიმართ რაიმე სახის ზეწოლას, შესაბამისად, მის დამოუკიდებლობაში ჩარევას ადგილი არ ჰქონია. მისივე

61 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3xZRFQQ

ლევან თევზაძე

განცხადებით, არც მისი კოლეგებისგან სმენია რაიმე მსგავსი შემთხვევების შესახებ. პარლამენტის წევრ ანრი ოხანაშვილის მიერ დასმულ კითხვაზე, ხელისუფლების მხრიდან მისი ან მისი კოლეგების მიმართ თუ ყოფილა რაიმე კომუნიკაცია, შეთავაზება ან ზეწოლა, მოსამართლე თევზაძემ განაცხადა რომ აბსურდია ამგვარი მსჯელობა და საკუთარი სიტყვების დასადასტურებლად გამამართლებელი გადაწყვეტილებებისა და სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დასრულებული დავების სტატისტიკაზე მიუთითა.

მოსამართლეთა თვითმმართველობაში განსხვავებული აზრის არარსებობასთან და გარკვეულ პოზიციებზე უკონკურენტო არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ შეკითხვაზე საპასუხოდ მოსამართლე თევზაძემ განაცხადა, რომ *„როდესაც ერთი კანდიდატია დაყენებული ერთ ვაკანტურ პოზიციაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს რაიმე ცუდია. თვითონ წყვეტენ ამას...“*

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნაწილის მიერ მომზადებული შეფასებების მიხედვით, მოსამართლე თევზაძე იცავს სამოსამართლო ეთიკას, როგორც პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის საპირისპიროზე მეტყველებს მის მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის ნაზი ჯანეზაშვილის მიმართ, ასევე საპარლამენტო მოსმენის დროს არასაპარლამენტო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის თქმა.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

მისი, როგორც ერთ-ერთი გავლენიანი მოსამართლის რეპუტაციასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ეჭვები, რომელიც მისი ნათესაური კავშირებიდან და სამოსამართლო კარიერის განმავლობაში მის მიერ დაკავებული თანამდებობებიდან გამომდინარეობს.[62]

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

ლევან თევზაძის გასაუბრების პროცესში დასმულ კითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტულ მატერიალურ თუ საპროცესო ნორმებთან დაკავშირებით კანდიდატის ცოდნა დამაკმაყოფილებელია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრის შეფასებით, მისთვის არადამაკმაყოფილებელი იყო ლევან თევზაძის პასუხი სამოსამართლო ეთიკასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე.

62 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/2W5j72E https://bit.ly/3AR0r5F https://bit.ly/3z08nRq ასევე იხილეთ ეუთო/ოდირის დასკვნა 2019 წელს გამართული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის შესახებ, რომელშიც საუბარია ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო შემთხვევასთან დაკავშირებით - https://bit.ly/3y5UWy6

ლევან თევზაძე

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მის მიერ წარმოდგენილ განაჩენში განვითარებული მსჯელობის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები დადებითად აფასებენ მის დასაბუთების უნარსა და კომპეტენციას. თუმცა, საბჭოს წევრი აქვე უთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა შეკითხვათა ძირითად ნაწილს უპასუხა, რიგ შეკითხვაზე პასუხი იყო გამოთქმული ზოაგდად, მოსაზრების სახით და არ იყო გამყარებული შესაბამის სამართლებრივ საფუძველზე დასაბუთებით.

მსგავსი ზოგადი ტიპის მსჯელობებს მიმართავდა მოსამართლე თევზაძე მაშინაც, როდესაც საკითხი ეხებოდა სასამართლო სისტემაში არსებულ პრობელემბსა და გამოწვევებს.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ლევან თევზაძის ზეპირი კომუნიკაციის უნარზე უარყოფითად მეტყველებს მის მიერ საბჭოს წევრისა და საპარლამენტო გასაუბრების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულება. *„მოკლედ, შეიძლება ჩემი პასუხი? თუ ეს ასე გაგრძელდა, მე არ ვუპასუხებ საერთოდ მის შეკითხვებს. „ვსო“, არ ვპასუხობ! [...] არ გპასუხობთ, დაასრულეთ... არ ვპაუსხობ, ხომ მაქვს უფლება, არ ვუპასუხო?!“* - ეს იყო ლევან თევზაძის რეაქცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის - ვახუშტი მენაბდის კითხვაზე, რომელიც სასამართლო სისტემაში გავლენიანი ჯგუფის შესაძლო არსებობას ეხებოდა.

ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი დამოუკიდებელ იურისტთა ჯგუფის წარმომადგენლის, კახა წიქარიშვილის შეთხვევაშიც. მოსამართლე თევზაძემ კახა წიქარიშვილს გააწყვეტინა კითხვა, გაიხსენა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ნაზი ჯანეზაშვილთან დაპირისპირების მომენტი და განაცხადა, რომ *„სასამართლომ კი არ უნდა მოუხადოს საზოგადოებას, თქვენ უნდა მოუხადოთ სასამართლო სისტემას ბოდიში. გასაგებია?“*

დ) პროფესიული თვისებები

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში რეკომენდატორთა მიერ წარმოდგენილი დახასიათებების მიხედვით, მოსამართლე თევზაძე შრომისმოყვარე და დისციპლინირებული პიროვნებაა, რომელსაც სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი გააჩნია, ამის საპირისპიროდ, ლევან თევზაძესთან გამართული გასაუბრებების მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა მთელ რიგი შემთხვევებისა, როდესაც თანამოსაუბრეების მიმართ მის მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება საპირისპიროს ამტკიცებს და არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მოსამართლე თევზაძის შესახებ არსებული ინფორმაციის მიხედვით, მას მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 10-ზე მეტ ღონისძიებაში, გავლილი აქვს კურსები აშშ-ში, გერმანიასა და რუმინეთში, არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი. არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, თუმცა ამჟამად შეჩერებული აქვს სტატუსი.

ლევან თევზაძე

3) პროფესიული აქტივობა

გარდა იმისა, რომ ლევან თევზაძე არის ევროპული საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე, ამასთანავე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და არის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.

ქეთევან მესხიშვილი

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან მესხიშვილი წარედგინა[63]. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ქეთევან მესხიშვილს 2021 წლის 8 ივლისს მოუსმინეს. მოსამართლე მესხიშვილის მოსმენა 5 საათსა და 17 წუთს გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, ქეთევან მესხიშვილი არ იქნა არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ.[64] ქეთევან მესხიშვილის თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრასაც 87 პარლამენტარი დაესწრო, საიდანაც მხოლოდ 4-მა დაუჭირა მხარი მის კანდიდატურას, 2 - წინააღმდეგი იყო, ხოლო 81-მა მათგანმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[65]

ქეთევან მეხიშვილი 2010-2011 წლებში დანიშნული იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მოსამართლის უფლებამოსილებას მივლინების საფუძველზე ახორციელებლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.[66] 2012 წლიდან დღემდე მოსამართლე მესხიშვილი იკავებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას. ხოლო 2020 წლის 19 ნოემბრიდან გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ქეთევან მესხიშვილი ერთადერთი მოსამართლე იყო, რომელმაც საჯაროდ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია 2021 წლის 21 მაისს მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით, მისი თქმით „მოსამართლეთა კონფერენციის ჩატარება, თუნდაც კანონის მოთხოვნის ფარგლებში, ახლა, ამ ვითარებაში, ძალიან არ არის მიზანშეწონილი. გარემოებათა მიზანშეწონილობის გათვალისწინება კი ყველა კანონის ნაგულისხმევი პირობაა."[67]

63 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

64 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/3xVFrbR

65 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3APJdpe

66 იხილეთ ქეთევან მეხიშვილის ბიოგრაფია - https://bit.ly/3gg1i83

67 იხილეთ ქეთევან მესხიშვილის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადება - https://bit.ly/2W5EoZY

ქეთევან მესხიშვილი

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

მოსამართლე მესხიშვილის ღირებულებითი წესრიგის შესაფასების ნაწილში საინტერესოა მისი პასუხი შარლ მიშელის შეთანხმებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე. მისი შეფასებით, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევნების გარკვეული დროით გადადება. თუმცა, მეორე მხრივ, მოსამართლემ აღნიშნა, რომ პიროვნულად ვინმეს არჩევის წინააღმდეგი არ იყო, არამედ ფიქრობს, რომ საკანონმდებლო ცვლილებას შესაძლოა არჩევის პროცესი უფრო დემოკრატიული გაეხადა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ მიმდინარე პროცესს ვერ შეაფასებს, რადგან ეს პოლიტიკური საკითხია, თუმცა თუ პროცესის შეჩერება მეტ ავტორიტეტს მოუტანს სასამართლოს, ის მხარს დაუჭერს ამ გადაწყვეტილებას.

მოსამართლეთა კორპუსის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, რომელიც უცხოელი პარტნიორების მიერ სასამართლოს კრიტიკას ეხებოდა, ქეთევან მესხიშვილმა აღნიშნა, რომ მას არ მოუწერია ხელი ამ განცხადებაზე, რადგან მიიჩნევს, რომ საქართველოს პარტნიორების მსგავსი პოზიციონირება არ არის სასამართლოში ჩარევა. კანდიდატის აზრით, პარტნიორების მოსაზრებები, რომლებიც სერიოზულ რესურსს ხარჯავენ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის, მნიშვნელოვანი და ღირებულია მათი დემოკრატიის წლოვანებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე და ხელს უწყობს „მეტი დემოკრატიული პროცესების განვითარებას სასამართლოში“.

სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებზე საუბრისას კანდიდატი აღნიშნავს, რომ მისი სურვილია, სასამართლო იყოს „უფრო მრავალფეროვანი, სადაც ერთ საკითხს ყველა არ ეთანხმება, სადაც არის აზრთა სხვადასხვაობა, აზრთა პოლემიკა, ურთიერთ წინააღმდეგობა, ოღონდ პოლემიკა და ურთიერთ წინააღმდეგობა არის ხელშეწყობილი და წახალისებული და არა სტიგმატიზებული“. მან გამოთქვა სურვილი, რომ სასამართლოში გადაწყვეტილებები ინდივიდუალურად მიიღებოდეს და არა - გუნდურად და კონფერენციაზე წარდგენილი კანდიდატი 300 ხმას არ იღებდეს.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

მოსამართლის მიერ პოლიტიკური კონტექსტისა და ვითარების გათვალისწინების შესახებ დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა უპასუხა, რომ მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ საქმეში არსებული ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს კონტექსტი, რადგან „აღნიშნული საკითხი ეხება მართლმსაჯულების ადმინისტრირებას და არა კონკრეტულად ერთი ქეისის გადაწყვეტას“.

კანდიდატის განცხადებით, სახელმწიფო განყენებული უნდა იყოს საეკლესიო სჯულის-დების კანონებისგან. აღნიშნული განცხადებები მოსამართლის კეთილსინდისიერებაზე დადებითად მეტყველებს.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

მოსამართლე მესხიშვილმა ერთ-ერთ კითხვაზე პასუხისას აღნიშნა, რომ საკითხის

ქეთევან მესხიშვილი

სამართლიანი გადაწყვეტა ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე საკანონმდებლო ნორმასთან შესაბამისობა, რადგან მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებამ „საზოგადოებაში სამართლიანობის განცდა გააჩინოს და უსაფრთხოების შეგრძნება შექმნას“. ამგვარი მიდგომა კანდიდატის სამართლიანობაზე მიუთითებს.

სააპელაციო ინსტანციებში ვიწრო სპეციალიზაციის არსებობის საჭროებაზე საუბრისას კანდიდატმა აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოში სასამართლო სისტემის ყველაზე დიდი გამოწვევა საზოგადოების ნდობაა, ჩვენს რეალობაში ვიწრო სპეციალიზაციას სჯობს, საქმის განაწილებისას მოსამართლეთა უფრო დიდი არჩევანი იყოს, რათა საზოგადოებას სასამართლოსადმი ნდობა ჩამოუყალიბდეს. კანდიდატმა იქვე აღნიშნა, რომ ვიწრო სპეციალიზაცია არ უნდა ხდებოდეს დავის საგნის ღირებულების მიხედვით. ამგვარი დამოკიდებულება მოსამართლის მიუკერძოებლობაზე დადებითად მეტყველებს.

კითხვაზე, უხერხულია თუ არა, რომ სასამართლოს სახეა ლევან მურუსიძე, რომელიც საკუთარ თავს სასამართლოს ლიდერს უწოდებს, კანდიდატმა უპასუხა, რომ ამ საკითხზე კომენტარს ვერ გააკეთებს, რადგან „არ შეიძლება მოსამართლემ მოსამართლეზე ისაუბროს არც დადებით და არც უარყოფით კონტექსტში“. თუმცა, აქვე ისიც აღნიშნა, რომ მოსამართლეს არ ჰყავს ლიდერი და არ იცის, რა კონტექსტში ისაუბრა ამ საკითხე ლევან მურუსიძემ. ამავე კითხვაზე პასუხად მან განაცხადა, რომ მისთვის ავტორიტეტია ჟიული შარტავა, გაბისკირია, გიორგი ანწუხელიძე, ექთნები, ექიმები და პედაგოგები.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატი პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე საკუთარი სამოსამართლო პრაქტიკიდან მაგალითების მოყვანის ან სხვა მოქალაქის პოზიციის გაჟღერების დროს მაქსიმალურად ცდილობდა, რომ პირების ვინაობა არაიდენტიფიცირებადი ყოფილიყო.

საპარლამენტო მოსმენის დროს კანდიდატმა აღნიშნა, რომ დღევანდელ სასამართლოში ძალიან ბევრი ღირსეული მოსამართლეა, მაგრამ ვერ დაასახელებს კონკრეტულ მოსამართლეებს, რადგან აუცილებლად გამორჩება ვინმე. დეპუტატის რეპლიკაზე, რომ დაესახელებინა სამი ღირსეული მოსამართლე, მესხიშვილმა განაცხადა, რომ „არც ეთიკურად და არც ადამიანურად“ არ იქნებოდა ეს სწორი.[68]

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრთა მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებიდან ჩანს, რომ კანდიდატს აქვს ძალიან კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპონდენტები და რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, დამოუკიდებლობას, სიმტკიცესა და პროფესიონალიზმს.

68 იხილეთ ქეთევან მესხიშვილის საკომიტეტო მოსმენა - https://bit.ly/3j4QMm1 საქართველოს პარლამენტის წევრის - ალეკო ელისაშვილის კითხვაზე მოსამართლე მესხიშვილის პასუხი 1:22:05-დან 1:22:35

ქეთევან მესხიშვილი

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული მოსმენის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ყველაზე გამორჩეული მონაწილე იყო, რომელიც თითოეული შეკითხვის ფარგლებში ცდილობდა ამომწურავად დაესაბუთებინა საკუთარი პოზიცია ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე მითითებით.

არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ქონებრივ უფლებებზე მსჯელობისას მოსამართლე მესხიშვილმა აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ეს საკითხი თითოეული სახელმწიფოს შიდა საქმედ აქვს დატოვებული, რათა საკითხი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მორალური შეხედულებების გათვალისწინებით გადაწყდეს. კანდიდატის მოსაზრებით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, რომელთაც აქვთ მყარი საერთო სამეურნეო კავშირი, იმავე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ დავის გადაწყვეტისას, რითაც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფნი.

წინააღმდეგობის გაწევის უფლებაზე საუბრისას კანდიდატმა აღნიშნა, რომ ეს უფლება არის დემოკრატიის საფუძველი და თუ სახელმწიფო ხალხის მიერ მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებს გასცდება, ადამიანებს წარმოექმნებათ წინააღმდეგობის ე.წ. სუბსიდური უფლება, ვერტიკალური წინააღმდეგობის უფლება სახელმწიფოს მიმართ, როცა ისინი ითხოვენ სახელმწიფო ინსტიტუტების დაბრუნებრუნებას მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, რომლიც ეხებოდა საკითხს, თუ რატომ არ არის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება აბსოლუტური, მოსამართლემ აღნიშნა, რომ აღმსარებლობა/რწმენა გამოხატვის შემდეგ აღარ არის აბსოლუტური, რადგან მას ზღუდავს სხვისი თავისუფლების ფარგლები. კონსტიტუცია და კონვენცია კი ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა თანაარსებობის გარანტიაა.

მოსამართლე მესხიშვილის პასუხები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მისი ცოდნა სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით არის არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული და კარგად გააზრებული. ამასთან, კითხვებზე, რომლებზეც კანდიდატს არ ჰქონდა პასუხი, არ ერიდებოდა ამის აღიარება, თუმცა მსგავსი შემთხვევები მოსმენის განმავლობაში საკმაოდ მცირე იყო.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივ შეკითხვებზე ქეთევან მესხიშვილი თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად მსჯელობდა. მის პასუხებში ცალსახად ჩანდა, რომ კანდიდატს აქვს საკუთარი მოსაზრების/პოზიციის სამართლებრივი დასაბუთების უნარი, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით.

კითხვაზე - შეწყალების აქტი შეიძლება თუ არა გახდეს სასამართლოში განხილვის საგანი - მესხიშვილმა არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ შეწყალება არ ექვემდებარება სამართლო წესით გადახედვას, ვინაიდან ეს არის პრეზიდენტის, როგორც არბიტრის, მედიატორისა და სახელმწიფო მშვიდობის გარანტის ექსკლუზიური უფლებამოსილება.

ქეთევან მესხიშვილი

მესხიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი შეწყალების აქტს საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობის შემთხვევებში გამოსცემს, ამიტომ ამ საკითხის სასამართლო კონტროლი არ შეესაბამება ხელისუფლების დანაწილების მისეულ ხედვას.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

გასაუბრების ორივე ეტაპზე კანდიდატი გაწონასწორებულად, ადეკვატურად სცემდა დასმულ კითხვებს პასუხს. მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატს ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი სამართლებრივი პოზიცია, რომელსაც სამართლებრივი არგუმენტაციით თანმიმდევრულად აყალიბებს. არის ტოლერანტული განსხვავებული აზრის მიმართ და არ უჭირს კრიტიკული აზრის მიღება.

დ) პროფესიული თვისებები

კანდიდატმა არ გაამჟღავნა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც მხარეები იყვნენ მის მიერ განხილულ საქმეში, სადაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ოჯახის ქონების გაყოფის საკითხი ისე გადაწყვიტა, როგორც რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში გადაწყვეტდა. კანდიდატმა არაერთხელ მიმართა პროფესიული ეთიკის ნორმებს, როგორც ცალკეული მოსამართლეების შეფასებისაგან თავის შეკავების მიზეზს.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

საბჭოში გასაუბრებაზე ქეთევან მესხიშვილმა აღნიშნა, რომ უყვარს გამოწვევები, სიახლეები, განვითარებაში წვლილის შეტანა, რაც აისახება კიდევაც მის აკადემიურ საქმიანობასა და პროფესიულ ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობაში. 2012 წელს კანდიდატმა მოიპოვა სამართლის დოქტორის ხარისხი. 2012-13 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, 2013 წლიდან არის თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით. არის არაერთი წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი.

კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ ტრენინგებსა თუ სემინარებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ჩართულია განგრძობადი იურიდიული სწავლების პროგრამებში.

ვ) პროფესიული აქტივობა

გარდა აკადემიური საქმიანობისა, მოსამართლე მესხიშვილი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა - ხშირად არის მიწვეული ექსპერტი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში თუ მათ მიერ ადგილობრივი მოსამართლეებისთვის ორგანიზებულ ღონისძიებებზე სიტყვის თავისუფლების, შრომის სამართლის, დისკრიმინაციის აკრძალვის თემებზე.

რევაზ ნადარაია

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადარაია წარედგინა[69]. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე რევაზ ნადარაიას 2021 წლის 8 ივლისს მოუსმინეს. მოსამართლე ნადარიას მოსმენა 3 საათი და 39 წუთი გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, რევაზ ნადარაია არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.[70] რევაზ ნადარაიას თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრას 87 პარლამენტარი ესწრეობდა, საიდანაც ლევან თევზაძის მსგავსად, მანაც 77 ხმა, ანუ საჭიროზე ზუსტად ერთი ხმით მეტი მოაგროვა. მის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა 6-მა პარლამენტარმა, ხოლო 4-მა მათგანმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[71] მხარდამჭერთა შორის იყვნენ მხოლოდ ქართული ოცნების წარმომადგენლები (77 ხმა) და პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ ერთადერთი წარმომადგენელი.

რევაზ ნადარაია თავდაპირველად ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე იყო და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ფოთის საქალაქო სასამართლოში, 2009-2010 წლებში.[72] 2010-216 წლებში რევაზ ნადარაია იკავებდა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლისა და ამავე სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობებს. 2016-2017 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდოამრე და ამავე სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარე. 2017-2018 წლებში მოსამართლე ნადარაია იკავებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობას, ხოლო 2018-2021 წლებში იყო ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. 2017-2020 წლებში რევაზ ნადარაია იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2019 წლიდან არის საპროკურორო საბჭოს წევრი.

69 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

70 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/3gdru3e

71 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/2XxhBGV

72 იხილეთ რევაზ ნადარაიას ბიოგრაფია - https://bit.ly/37ZGhKI

რევაზ ნადარაია

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

ლევან თევზაძესთან ერთად, რევაზ ნადარაიას კანდიდატურაც განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო მთელი ამ პროცესის განმავლობაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი, როგორც სასამართლო სისტემაში არსებულ გავლენიან ჯგუფთან აფილირებული პირის,[73] პასუხები სასამართლოს გამოწვევებთან დაკავშირებით. ლევან თევზაძის კანდიდატურის მსგავსად, მოსამართლე ნადარაიას მიმართ საპარლამენტო ოპოზიციისა და არასაპარლამენტო ინსტიტუტების წარმომადგენლების კითხვები უმეტესწილად ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მისეული ხედვისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან მისი კანდიდატურის შესაბამისობის დადგენას ისახავდა მიზნად.

რევაზ ნადარიას შეფასებით, კონკრეტული პირისათვის პასუხის გაცემაზე უარის თქმით კანონის მიმართ უპატივცემულობა არ გამოუვლენია, მისი თქმით *„პიროვნების მიმართ მაქვს ეს შეფასება-თქო და არ მიმაჩნია საჭიროდ, რომ მე მის შეკითხვებს გავცე [პასუხი] და თქვენ არა ხართ ჩემი შემფასებელი აქ. თუ რაღაცა არასწორად გავაკეთე, რა ვიცი...“*[74]

საკმაოდ უჩვეულო და აქამდე არსებული პასუხებისაგან განსხვავებული იყო მისი შეფასება ლევან მურუსიძის ლიდერობასთან დაკავშირებით, რევაზ ნადარაიას თქმით - *„აი, ამ გარემოებებმა, ლიდერს რომ გაიძახით ძალიან ხშირად, ლევან მურუსიძე აქცია ლიდერად. თქვენც აქციეთ, მათ შორის, ლიდერად. ყველა კითხვაში ლევან მურუსიძეს იძახით. სასამართლო სისტემაზე ვინმეს თავდასხმა როცა უნდა, პირველი ლევან მურუსიძეს ესხმიან თავს და მერე დანარჩენ სისტემას ესხმიან თავს. თქვენ, ვინც ლევან მურუსიძეს ხშირად მოიხსენიებთ, თქვენც აღიარებთ მას ლიდერად.“*

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

საპარლამენტო მოსმენაზე ლევან მურუსიძესთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, თუ რატომ იყო კანდიდატისთვის საამაყო მასთან მეგობრობა, რევაზ ნადარაიამ მიუთითა, რომ *იგი „მთელი მისი საქმიანობა იბრძოდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისათვის, [...] ლევან მურუსიძემ უზრუნველყო ის და დაიწყო ის პროცესი, რომ მოსამართლეთა 82% დღეს უვადოდ არის გადანიშნული. ლევან მურუსიძემ გააერთიანა სასამართლო სისტემა და დღეს სასამართლო სისტემა არის დამოუკიდებელი.“* ლევან მურუსიძე დღეს მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც თავისი მოქმედებებით, პირიქით, ხელს უშლის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს შექმნას[75] და წარმოადგენს უსამართლო სასამართლოს სიმბოლოს. დღეს სასამართლო სისტემა საზოგადოების მაღალი ნდობით არ სარგებლობს, იქ არსებულ პრობლემებზე, მათ შორის დამოუკიდებლობასთან მიმართებით, არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის განცხადებასა თუ ანგარიშშია მითითებული. შესაბამისად, კანდიდატის ამგვარი პოზიციონირება და ამ პრობლემებზე თვალის დახუჭვა თუ მათი არსებობის გამორიცხვა ნეგატიუად საუბრობს

73 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/2W18BsZ https://bit.ly/3k91ilc

74 კითხვის ავტორი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ვახუშტი მენაბდე იყო.

75 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3mgMmu4 https://bit.ly/3y0UiSr ასევე, ლევან მურუსიძის განცხადება სასამართლოს ლიდერობასთან დაკავშირებით - https://bit.ly/2VZFC9v

პიროვნულ კეთილსინდისიერებაზე.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, ისევე, როგორც საპარლამენტო მოსმენაზე დასმულ შეკითხვაზე სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაში რომელი მათგანისკენ გადაიხრებოდა გადაწყვეტილების მიღებისას, უპირატესობა კანონიერების პრინციპს მიანიჭა, თუმცა, აღნიშნა, მას ვერ წარმოუდგენია გადაწყვეტილება, რომელიც კანონსა და კონსტიტუციას აცდენილია და მხოლოდ სამართლიანობით განიმარტება, რადგან სამართლიანობის აღქმა დროთა განმავლობაში ცვალებადია. მან მიუთითა: *„ჩემთვის კანონიერება და სამართლიანობა ცალ-ცალკე წარმოუდგენელია. კანონიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანობის ჩარჩოებში მაქსიმალურად მოქცეული, ისე, რომ ობიექტურ დამკვირვებელს... როგორც მოსამართლეს - მე და გარე ობიექტურ დამკვირვებელსაც აკმაყოფილებდეს მისი სამართლიანობის სტანდარტი...“* აღნიშნული სრულყოფილ პასუხად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან კანდიდატს არ განუხილავს ის შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება კანონს შეესაბამება, მაგრამ სამართლიანობის პრინციპს - არა. აღნიშნულის არაერთი შემთხვევა დაფიქსირებულა წარსულში. ამასთან, კანონიერების პრინციპზე ერთმნიშვნელოვანი მიმხრობა, თავის მხრივ, ფაქტობრივად საკონსტიტუციო წარდგინების ინსტიტუტის არსებობას მნიშვნელობას უკარგავს. შესაბამისად, კანდიდატის ამგვარი პოზიცია შესაძლოა ნაკლებად მეტყველებდეს მის სამართლიანობაზე.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შეფასების მიხედვით, მის მიმართ არ ყოფილა დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა, იყო მოპასუხე ერთ ადმინისტრაციულ საქმეში. არის თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტული, იცავს სამოსამართლო ეთიკას. გამოირჩევა სიმშვიდით, გაწონასწორებული ხასიათით, მაღალი პროფესიული სინდისით.

თუმცა, საპარლამენტო მოსმენების დროს მთელი რიგი შეკითხვების ფარგლებში მის მიერ გამოვლენილი ქცევა, მათ შორის პასუხის გაცემაზე უარის თქმის ფორმა და მიმართვის ტონი არ შეესაბამებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

რევაზ ნადარაიას შეფასებებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მიუთითებენ, რომ იგი კარგი რეპუტაციით სარგებლობს კოლეგებს შორის. თუმცა, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ კანდიდატი სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელია, დოკუმენტის ავტორებს მიგვაჩნია, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს მისი კარგი რეპუტაცია იურიდიულ საზოგადოებაში.

რევაზ ნადარაია

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

რევაზ ნადარაიას გასაუბრების პროცესში იყო კითხვები, რომლებზეც მის მიერ გაცემული პასუხები დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, ისევე როგორც სამართლებრივი საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც კანდიდატს გაუჭირდა სწორი პასუხის გაცემა. მაგალითად, მოსამართლე ნადარაიამ, საბჭოში გასაუბრების დროს ვერ უპასუხა ნაზი ჯანეზაშვილის მიერ დასმულ შეკითხვას საქართველოს პარლამენტის წევრის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრობის დროს, მოსამართლე ნადარაიამ აღნიშნული კითხვა თავად დაუსვა შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატს.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

კანდიდატმა უცხოელებისათვის მიწის მიყიდვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერთან დაკავშირებულ შეკითხვაზე თავი შეიკავა რაიმე დადებითი ან უარყოფითი პოზიციის დაფიქსირებისაგან და ამგვარი ჩანაწერის არსებობის მიზანშეწონილობასთან მიმართებით მიუთითა, რომ *„...რადგან ეს კანონმდებელმა ასე ჩათვალა, მისი მიზანშეწონილობაც მე ვთვლი, რომ შესწავლილი არის...“* აღნიშნული პასუხი კრიტიკულ შეკითხვაზე ერთგვარ თავის არიდებად შესაძლოა განვიხილოთ, რის მიზეზადაც შემდგომში კანდიდატმა ამ ჩანაწერის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეუსწავლელობა დაასახელა. თუმცა, მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით კანონმდებლის პოზიციის აპრიორი გაზიარება, არ წარმოაჩენს კანდიდატის კრიტიკულ აზროვნებასა და დასაბუთების უნარს.

საპარლამენტო მოსმენისას ულტრამემარჯვენე იდეოლოგიასთან დაკავშირებით არადამაჯერებელი, ზედაპირული განმარტება გააკეთა - *„როგორც ვიცი, როგორც მახსოვს ადრინდელი.... რაღაც გარკვეული შეხედულებებისადმი რადიკალური მიდგომით გამოირჩევიან“.*

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

კანდიდატმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე მხოლოდ ერთი განჩინება წარადგინა, რომლის საფუძველზეც რთული და შეუძლებელიც უნდა ყოფილიყო იუსტიციის საბჭოს წევრების მიერ კანდიდატის წერის უნარზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა, თუმცა, ის ამ კომპონენტში საკმაოდ მაღალი ქულებით, დადებითად იქნა შეფასებული. რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, კანდიდატს კრიტიკული შეკითხვების დასმისას ეტყობოდა გაღიზიანება/აღელვება. ზოგიერთ შემთხვევაში მისი პასუხები იყო ბუნდოვანი. გარდა ამისა, საპარლამენტო მოსმენებზე მოსამართლე ნადარაიამ უარი განაცხადა დამოუკიდებელ იურისტთა ჯგუფის წარმომადგენლის - კახა წიქარიშვილის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე და მას არაკომპეტენტური და არაკეთილსინდისიერი უწოდა, რაც მიუთითებს, რომ მოსამართლე ნადარაიას უჭირს განსხვავებული აზრის მოსმენა და მიღება.

დ) პროფესიული თვისებები

მართალია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართული გასაუბრების შედეგად, საბჭოს წევრების მიერ მომზადებული შეფასებების მიხედვით, მოსამართლე ნადარაია გულმოდგინე, შრომისმოყვარე, გულმოდგინე პიროვნებად ხასიათდება, რომელსაც

რევაზ ნადარაია

გამართულად მეტყველების, შეხედულების ღიად გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმენით მოსმენის უნარი გააჩნია, საპარლამენტო მოსმენის დროს, ლევან მურუსიძეზე დასმულმა შეკითხვამ აშკარად გამოიწვია მასში გაღიზიანება და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ფორმით ჩამოაყალიბა საკუთარი პასუხი.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ რევაზ ნადარაიას შეფასებებიდან იკითხება, ეს უკანასკნელი აქტიურად ესწრება კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სემინარებს, რაც ახალი ცოდნის მიღებასა და პროფესიულ განვითარებაზე მიუთითებს.

ვ) პროფესიული აქტივობა

რევაზ ნადარაია ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ სამოსამართლეო საქმიანობას, ხოლო წარსულში იგი ასევე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, თუმცა, მისი საქმიანობის პერიოდში მისი ინიციატივით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არცერთი საკითხი არ განუხილავს. თუმცა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო მოსმენისას შეკითხვაზე, თუ რას მიიჩნევდა მის ყველაზე დიდ მიღწევად იუსტიციის საბჭოს წევრობის პერიოდში ზოგადად მიუთითა - *„იმ პროცესებში მონაწილეობის მიღება, რა პროცესებიც ჩემი წევრობის დროს გაიარა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. პირველი - ეს არის ძირითადი, რაც არის მოსამართლეთა უვადოდ გადანიშვნა, [...] [შემდეგ] სასამართლო სისტემაზე იყო პერიოდული თავდასხმები, შემოტევები, მეც ამ პროცესის ნაწილი ვიყავი, რომ დაგვეცვა სისტემა ამ თავდასხმებისაგან თუნდაც...“*

ბიძინა სტურუა

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბიძინა სტურუა წარედგინა[76]. საქართველოს პარალმენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ბიძინა სტურუას 2021 წლის 9 ივლისს მოუსმინეს. მოსამართლე სტურუას მოსმენა 3 საათი და 56 წუთი გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, ბიძინა სტურუა არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.[77] ბიძინა სტურუას თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრას 87 პარლამენტარი ესწრეობდა, საიდანაც 78-მა პარლამენტარმა მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას, ხოლო 6 - წინააღმდეგი იყო. დარჩენილმა 3 პარლამენტარმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[78] საყურადღებოა, რომ ბიძინა სტურუამ 78-ვე ხმა ქართული ოცნების წარმომადგენლების მხარდაჭერით მოაგროვა.

ბიძინა სტურუას სამოსამართლო კარიერა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოდან იწყება, სადაც ის 2011-2012 წლებში მუშაობდა.[79] 2012-დან 2019 წლამდე ბიძინა სტურუა იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე ის იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მუშაობის პერიდში, ბიძინა სტურუას სახელს უკავშირდება შეკვეთილში გამართული აქციის „გააღვიძე ოლიგარქის“ მონაწილეების სამართალდამრღვევად ცნობის გადაწყვეტილება. როგორც საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, საკუთარ გადაწყვეტილებაში ბიძინა სტურუა უთითებს, რომ „ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით სოლიდარობის გამოხატვა, რა თქმა უნდა, შეფასდება შეკრებად, თუმცა პროტესტის საგანი ვერ გახდება ამა თუ იმ ადამიანის მიერ იმ უფლებებით სარგებლობა, რომლებიც ადამიანის არსებობის საფუძველს წარმოადგენს.“[80]

ბიძინა სტურუას სახელს უკავშირდება ასევე ახალგაზრდა ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულთა საქმე.[81]

76 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

77 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/37RcXFI

78 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/37XgylL

79 იხილეთ ბიძინა სტურუას ბიოგრაფია - https://bit.ly/3AU1NMP

80 იხილეთ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3sshHew

81 იხილეთ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/38zv6Iq https://bit.ly/2Y7i6Yz https://bit.ly/3t34o4w

ბიძინა სტურუა

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

სხვა კანდიდატების მსგავსად, ბიძინა სტურუას მოსმენის პროცესშიც არაერთი კითხვა შეეხებოდა 19 აპრილის შეთანხმებასა და სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ მოსამართლე სტურუამ განმარტა, *„რომ საკანონმდებლო რეგულაცია არის ასეთი, სრულად შესაბამისობაში არის კონსტიტუციასთან და მოქმედ კანონთან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვართ რა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, გადაწყვეტილების მიღება კონსტიტუციის და კანონის საწინააღმდეგოდ ხელს შეუშლის, რა თქმა უნდა, სასამართლოს მიმართ, რა ტერმინსაც თქვენ აცხადებთ, ნდობის ამაღლებას.“*

ბიძნა სტურუამ, ეკა ზარნაძის მსგავსად, თავი აარიდა 5-6 ივლისს თბილისის ქუჩებში განვითარებული მოვლენების შეფასებას, იმ მოტივით, რომ აღნიშნულ შემთხვევებზე მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა და ასევე, არ არის გამორიცხული მას, როგორც მოსამართლეს, მომავალში მოუწიოს მსგავსი ტიპის დავების განხილვა.

მოსამართლე სტურუამ, სასამართლო სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებზე საუბრისას, საქმეთა გადატვირთულობასთან ერთად მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან „მიზანმიმართულ კამპანიებსა“ და „მუდმივ თავდასხმებზე“ გაამახვილა ყურადღება.[82]

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კანდიდატის მოსაზრებით გადაწყვეტილების მიღებისას დაპირისპირება კანონიერებასა და სამართლიანობას შორის მიუღებელია. მისი შეფასებით ამ ორი საკითხის დაშორება არ უნდა მოხდეს, რადგან კანონი უნდა იყოს სამართლიანი და მისი ვალდებულებაა მიიღოს როგორც კანონიერი ისე სამართლიანი გადაწყვეტილება. იმ შემთვევაში თუ მოსამართლეს გაუჩნდება ეჭვი რომ კანონი არის უსამართლო მან უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული მექანიზმები როგორიცაა სამართლის პრინციპებით ხელმძღვანელობა, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა, საერთაშორისო პრატქიკის გამოყენება და ა.შ.

ასევე ბიძინა სტურუას განცხადების თანახმად გადაწყვეტილების მიღებისას მასზე გავლენის მოხდენა არ მომხდარა, თუმცა მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში იგი აუცილებლად მიმართავს შესაბამის ზომებს.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

მოსამართლე სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას იყო თავშეკავებული. ადმინისტრაციულ მოწესრიგებასა და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით მისი მოსაზრებები უფრო მეტად შეეხებოდა ახალი მიდგომების ჩამოყალიბებას და ახალი ინიციატივების მიღბას ვიდრე არსებულ პრობლემებზე მსჯელობას.

82 იხილეთ ბიძინა სტურუას პასუხი ანა ბუჩუკურის კითხვაზე - https://bit.ly/38wXNpx ასევე - https://bit.ly/3BvKphQ

ბიძინა სტურუა

მისი შეფასებით დღეს დღეობით სასამართლო სისტემის მთავრ პრობლემას წარმოადგენდა მასზე განხორციელებული თავდასხმები. ხოლო მეორე პრობლემად მან დაასახელა გადატვირთულობა. ამასთანავე, კითხვაზე იყო თუ არა 2012 წლამდე სასამართლო დამოუკიდებელი კანდიდატმა სტურუამ განაცხადა, რომ მისთვის საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაცია ცნობილია, თუმცა კონკრეტული ფაქტები მოსამართლე-ებისგან არ სმენია.

მოსამართლემ უარი განაცხადა პოლიტიკურ დისკუსში მონაწილეობასა და პოლიტიკური განცხადებების შეფასებაზე რომელიც შეეხებოდა 19 აპრილის შეთანხმებას და პალამენტში გამართული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა მოსმენების პროცესი მიიჩნია კანონიერად.

კანდიდატმა განაცხადა, რომ სასამართლოს მიმართ ნდობის პრობლემა არ არსებობს. მისი მოსაზრებით "პრობლემა" მხოლოდ კონკრეტულ ჯგუფებშია რომლებიც ამ თემით მანიპულირებენ სხვადასხვა ჯგუფებში. მისი შეფასებით მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ თავდასხმებს სასამართლოზე. ასევე, განმარტა, რომ მისთვის მიუღებელი იყო სიტყვები "კლანის" ან "ნოტარიუსების" გამოყენება სასამართლოს და მოსამართლეების კონტექსტში.

იგი უარყოფითადაა განწყობილი მოსამართლეების კრიტიკის მიმართ. მისი შეფასებით დასაშვებია მოსამართლის გადაწყვეტილების კრიტიკა, თუმცა დაუშვებელია ამ გადაწყვეტილების მოსამართლის პიროვნებასთან დაკავშირება. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს გააჩნია თმენის ვალდებულება იგი უარყოფითად აღიქვამს მოსამართლის კრიტიკას ან შეურაცყოფას. მიუხედავად ამისა მისი განმარტების თანახმად კანდიდატს არაერთხელ მოუთმენია მის მიმართ შეურაცხმყოფელი პირდაპირი და პირისპირი განცხადებები.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატი უმეტესად იყო თავშეკავებული. იგი ცდილობდა კრიტიკულად არ შეეფასებნა საკუთარი კოლეგები ან მათი გადაწყვეტილებები და თავს არიდებდა ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას რომელიც უკავშირდებოდა ლევან მურუსიძეს, მის გავლენას სასამართლო სისტემაზე და "კლანს".

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

როგორც დანარჩენი კანდიდატების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილი შეფასებების მიხედვით, ბიძინა სტურუასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად ახასიათებენ, რომელიც იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობს.

ბიძინა სტურუა

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

ბადრი სტურუას გასაუბრების პროცესები მონიტორინგის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმაოდ კარგად იცნობს ქართული სამართლის ნორმებსა და მათი გამოყენების პრაქტიკას. ასევე, როგორც მოსამართლე სტურუამ განმარტა, გარკვეული პერიოდულობით ეცნობა საერთაშორისო პრაქტიკასა და უცხოენოვან (კონკრეტულად გერმანულენოვან) სამართლებრივ ლიტერატურას. საკუთარი სიტყვების დასტურად, კანდიდატი ცალკეულ კითხვებზე პასუხის გაცემისას უთითებდა საკუთარ პრაქტიკაზე სამართლებრივი კონტექსტის ასახსნელად.

5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით გამოხატვის თავისუფლების კონტექტში ბიძინა სტურუამ განაცხადა, რომ მისი შეხედულება სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და "ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლება და ეს ზღვარი მთავრდება იქ სადაც იწყება სხვისი უფლებები".

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივ კითხვებზე პასუხის გაცემისას იგი მსჯელობას ლოგიკურად ავითარებდა. უმეტესად საუბრობდა მაგალითების გამოყენებით და ხშირად პარალელს ავლებდა საკუთარ გამოცდილებასა და პრაქტიკასთან. ამასთანავე არაერთხელ აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი იყენებდა როგორც ზედა ინსტანციის სასამართლო პრაქტიკას, ასევე საერთაშორისო და გერმანულ სამართლებრივ წყაროებს.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

გასაუბრების ორივე ეტაპზე, ზეპირი კომუნიკაციის დროს კანდიდატი იყო გაწონას-წორებული და თანმიმდევრული. საკუთარ აზრს, პასუხის გაცემის სურვილის არსებობის შემთხვევაში, გამოხატავდა აშკარად და მკაფიოდ. მოსმენის განმავლობაში მსჯელობა არ ყოფილა მის წერის უნარზე. ამ ნაწილში მხოლოდ და მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასებებზე მითითება შეგვიძლია, რომელის მიხედვითაც „იგი გამოირჩევა შესაბამისი წერის უნარით, სწორად აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს, ხოლო მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ცხადი და არაორაზროვანი", თუმცა რამდენად შეესაბამება აღნიშნული შეფასება რეალობას, ამის შეფასების შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ.

დ) პროფესიული თვისებები

მის მიერ განხილულ საქმეებზე საუბრისას, მიუხედავად იმისა რომ იგი ასახელებდა გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს, იგი იცავდა სამოსამართლეო ეთიკის წესებს. ასევე, 5-6 ივლისს მომხდარ მოვლენებზე საუბრისას მან უარი განაცხადა კონკრეტული საკითხებზე მსჯელობაზე, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საქმეები შეიძლება მისი განხილვის საგანი გამხდარიყო.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

ამჟამად იგი სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში.

ბიძინა სტურუა

3) პროფესიული აქტივობა

კანიდატმა კითხვაზე თუ რა წარმოადგენს მის მთავარ რესურსს რომელიც გამოადგება ზედა ინსტანციას უპასუხა, რომ მას გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება, 10 წლიანი მოსამართლეობის გამოცდილება, აკადემიურ სფეროში საქმიანობის გამოცდილება, გერმანულენოვანი ლიტერატურის დამუშავება და ამის საფუძელზე სამართლის განვითარებაში შეიტანოს წვლილი.

გიორგი შავლიაშვილი

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი წარედგინა[83]. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გიორგი შავლიაშვილს 2021 წლის 10 ივლისს მოუსმინეს. კანდიდატის მოსმენა 3 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, გიორგი შავლიაშვილი არ იქნა არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ.[84] გიორგი შავლიაშვილის თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრასაც 87 პარლამენტარი დაესწრო, საიდანაც მხოლოდ 3-მა დაუჭირა მხარი მის კანდიდატურას, 7 - წინააღმდეგი იყო, ხოლო 77-მა მათგანმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[85]

კონკურსში მონაწილე კანდიდატებს შორის, გიორგი შავლიაშვილს სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ჯერ კიდევ 2005 წელს, გიორგი შავლიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა.[86] დანიშვნიდან მალევე მოსამართლე შავლიაშვილი დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ და დაეკისრა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, ხოლო 2006 წელს უკვე სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა. 2006 წლის თებერვალში საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ გიორგი შავლიაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად. 2010 წლიდან მოსამართლე შავლიშვილი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, საქმიანობის ბოლო წელს იყო სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე.

მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის სახელს რამდენიმე გახმაურებული საქმე უკავშირდება[87], მათ შორის:

- *გიგი უგულავას საქმე - უზენაესმა სასამართლომ 2020 წლის 10 თებერვალს ევროპული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა მისი მერობის პერიოდში თბილისის განვითარების ფონდიდან 48 მილიონი ლარის მითვისება-გაფლანგვის საქმეზე დამნაშავედ ცნო და მას საბოლოო სასაჯელის სახედ დამატებით სამი წლით, ორი თვითა და რვა დღით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. აღნიშნულ საქმეზე უზენაესი სასამართლოს სამკაციან კოლეგიაში გიორგი შავლიაშვილთან ერთად ორი ახლად დანიშნული მოსამართლე შალვა თადუმაძე და მერაბ გაბინაშვილი შედიოდნენ.[88]*

- *საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის*

83 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

84 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/3AQC4Vv

85 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3xSePZu

86 იხილეთ გიორგი შავლიაშვილის ბიოგრაფია - https://bit.ly/3D2zyO4

87 აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თამარ ონიანის შეფასებაშიც (იხ. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შემადგენელი კომპონენტი - 4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - https://bit.ly/3ARLosc)

88 იხილეთ უზენაესი სასამართლოს განცხადება - https://bit.ly/3y3atP6 ასევე მედიაში გავრცელებული ინფრომაცია - https://bit.ly/3D5SbjU

გიორგი შავლიაშვილი

თემურ ბასილიას საქმე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის განჩინებით, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ამავე წლის 14 თებერვლის განჩინება. ხსენებულ საქმეზე საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილება მოსამართლეებმა: პაატა სილაგაძემ (თავმჯდომარე), ნინო გვენეტაძემ და გიორგი შავლიაშვილმა მიიღეს.[89]

- *დავით ოთხმეზურის მკვლევლობის საქმე - საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო ორი ინსტანციის გადაწყვეტილება და დავით ოთხმეზურის მკვლელობის ბრალდებით ასლან ბეჟანიძეს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეგიის წევრთაგან გადაწყვეტილებას ნინო გვენეტაძემ და პაატა სილაგაძემ დაუჭირეს მხარი, ხოლო გიორგი შავლიაშვილი წინააღმდეგ წავიდა. [90]*

- *ტელეკომპანია „იმედის“ ქონების დაყადაღების საქმე - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 2007 წლის 12 დეკემბერს განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ტელეკომპანია "იმედის" ქონების დაყადაღების შესახებ "გაუმართლებელად" და "უკანონოდ" მიიჩნია. ასევე, სახალხო დამცველის აპარატმა განაცხადა, რომ მან შეისწავლა სასამართლოს გადაწყვეტილება "იმედის" ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებით და საჭიროდ მიიჩნია რეკომენდაცია მისცეს იუსტიციის საბჭოს დისციპლინარული პროცედურები დაიწყოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გიორგი შავლიაშვილის წინააღმდეგ.[91]*

- *ე.წ კორტების სპეცოპერაციის საქმე - კორტების სპეცოპერაციის საქმეზე ბრალდებისა და დაცვის მხარის საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობაზე უზენაესმა სასამართლომ განჩინება 2018 წლის 23 იანვარს მიიღო. ორივე შემთხვევაში სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს საჩივრები დაუშვებლად იქნეს ცნობილი და ძალაში დარჩეს წინა ინსტანციის გადაწყვეტილება, რადგან უზენაესის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ის საფუძვლები, რომლითაც წინა ინსტანციის გადაწყვეტილება უნდა გადაიხედოს. აღნიშნული გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ნინო გვენეტაძის, პაატა სილაგაძისა და გიორგი შავლიაშვილის შემადგენლობით მიიღო.[92]*

- *AES თელასის ფინანსური მენეჯერის მკვლელობისთვის მსჯავრდებულების საქმე - გიორგი შავლიაშვილი იყო იმ სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი რომლებმაც აღნიშნული საქმე საკასაციო წესით განიხილეს.[93]*

89 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3swRwDr

90 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3giHmBt

91 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3swlSGf

92 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/2UB1nM0

93 იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3xYoNbD https://bit.ly/3D25HFg https://bit.ly/3y48XMS

გიორგი შავლიაშვილი

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

მოსამართლე შავლიაშვილის ღირებულებითი წესრიგის შესაფასების ნაწილში საინტერესოა კანდიდატის პასუხი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესზე ეუთო/ოდირის კრიტიკული შეფასებისა და კონკურსში მისი მონაწილეობის მართებულობასთან დაკავშირებით, რაზეც მოსამართლემ განაცხადა, რომ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნას ვერ შეაფასებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესი მას აძლევს საშუალებას, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღოს.

კითხვაზე, არსებობს თუ არა სასამართლოში მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი, კანდიდატმა განაცხადა, რომ მის მიმართ არასდროს ყოფილა გავლენის მოხდენის მცდელობა და არც კოლეგების მიმართ უნახავს მსგავსი შემთხვევა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე მოსამართლე შავლიაშვილმა განაცხადა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე ფორმატი. პროცესისადმი შენიშვნასთან დაკავშირებით კი კანდიდატმა აღნიშნა, რომ ჯერ გარკვეული დროის გასვლაა საჭირო იმისთვის, რომ შენიშვნა და შეფასებები უკეთესად გააკეთოს, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ გასაუბრების პროცესს შესაძლოა დაემატოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უფრო დეტალურად განხილვის ფორმატი.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კითხვაზე, გრძნობს თუ არა კანდიდატი, როგორც საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, პასუხისმგებლობას სანდრო გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ მთავარ დარღვევად სასამართლოს მიერ განმცხადებლისთვის საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმა რომ სახელდება, კანდიდატმა განაცხადა, რომ როგორც თავმჯდომარე და ამ საქმის არა განმხილველი მოსამართლე, ამ საკითხზე კომენტარს ვერ გააკეთებს. აღნიშნულის მიზეზად კანდიდატმა დაასახელა ის გარემოება, რომ თავად, როგორც თავმჯდომარე, ადმინისტრაციული ფუნქციებით იყო დაკავებული.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

2007 წლის 7 ნოემბერს მოსამართლე შავლიაშვილის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ დაყადაღების საქმეზე დასმული შეკითხვის პასუხად კანდიდატმა განაცხადა, რომ მან მიიღო საპროცესო იძულების ღონისძიებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. მოსამართლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „იმედი“ გამოიყენეს დემონსტრაციების ორგანიზების მთავარ იარაღად. დეპუტატის კითხვაზე, დღესაც მიაჩნია თუ არა, რომ დემონსტრაციების ორგანიზებისთვის შეიძლება ყადაღა დაედოს ტელეკომპანიის აქტივებს, კანდიდატმა აღნიშნა, რომ საპროცესო იძულების ღონისძიება ჩვეულებრივი სამართლებრივი პროცედურაა და გაიცემა შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე, თუ ის დასაბუთებულია. ამასთან, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მისი განჩინება „იმედის“ დარბევამდე გამოიცა თუ დარბევის შემდეგ.

გიორგი შავლიაშვილი

2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ ქვეყანაში არსებული ვითარების შეფასებისას მოსამართლე შავლიაშვილმა განაცხადა, რომ 2012 წლის შემდეგ გატარდა სასჯელის ლიბერალიზაციის პოლიტიკა. მან ასევე აღნიშნა, რომ 2012 წლამდე ქვეყანაში იყო მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა და მნიშვნელოვნად იმატა ადამიანის უფლების დარ--ღვევის შემთხვევებმა. კანდიდატის შეფასებით, დღეს სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკა, ოჯახში ძალადობის შემთხვევების გარდა, ზომიერებით შეიცვალა.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის პიროვნული ქცევის შეფასებისთვისთვის აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისა და საპარლამენტო მოსმენის დროს მოსამართლემ თავშეკავებულობა და გაწონასწორებულობა გამოავლინა.

პროფესიული ქცევის ნაწილის შეფასებისას კი მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების ეტაპზე მოპოვებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მოსამართლე შავლიაშვილმა საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა (96.5%) განიხილა საპროცესო ვადების დაცვით, ხოლო გადაწყვეტილებები ვადების დაცვით მოამზადა საქმეთა მხოლოდ 61.2%-ის შემთხვევაში.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გამოკითხული კოლეგები და რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და გამოარჩევენ მის სამართლიანობას, ობიექტურობას, პატიოსნებას, პროფესიონალიზმს, მიუკერძოებლობას და თავმდაბლობას.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

მოსამართლე შავლიაშვილის, როგორც ხანგრძლივი სამოსამართლო კარიერის მქონე მოსამართლის წინაშე, დაისვა არაერთი სამართლებრივი შეკითხვა, მათ შორის მის მიერ წარსულში განხილულ საქმეებში გამოყენებული ნორმების შინაარსსთან დაკავშირებით.

შეზღუდული შესაძლებლობების განმარტებისას კანდიდატმა განაცხადა, რომ ეს ცნება, კონვენციური განმარტებით, არის ჯანმრთელობის დარღვევა. მან აღნიშნა, რომ კონვენციიდან გამომდინარეობს კანონისმიერი განმარტებაც, რომლის თანახმადაც, შეზღუდული შესაძლებლობა არის ჯანმრთელობის, ფიზიკური, მენტალური, სენსორული დარღვევა. მას შემდეგ, რაც პარლამენტის წევრმა კანდიდატს მიუთითა, რომ კონვენცია იმისთვის შეიქმნა, რომ ასეთი განმარტებები აღარ ყოფილიყო, კანდიდატმა აღნიშნა, რომ მან შეცდომით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განმარტა და არა თავად შესაძლებლობები. იქვე, კანდიდატმა ხელახლა სცადა ცნების ახსნა და განაცხადა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობა არის ის შეუთავსებლობა, რომელიც ასეთ პირს გარემოსთან შეთავსების პრობლემას უქმნის“.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ ჟურნალისტი იყოს მოწმე და გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, მოსამართლე შავლიაშვილმა განაცხადა, რომ ზუსტად არ ახსოვს, მაგრამ რამდენადაც ახსოვს, ჟურნალისტს არ აქვს წყაროს გამჟღავნების ვალდებულება.

შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა განაცხადა, რომ აღნიშნულ უფლებას იცავს, ერთი მხრივ, კონსტიტუციური დებულება, რომ არსებობს შეკრების თავისუფლება და ასევე - კანონი შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ. მოსამართლემ განმარტა, რომ „ნებისმიერ ადამიანს აქვს შესაძლებლობა შეიკრიბოს უიარაღოდ, მშვიდობიანად და, შესაბამისად, გამოხატოს თავისი შეხედულებები კონ-კრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მანიფესტაცია ეს არის ერთგვარი მსვლელობა, რომელიც გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით მანიფესტანტების პოზიციას გამოხატავს“. კითხვაზე, მოიცავს თუ არა გაფიცვის უფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი, შავლიაშვილმა აღნიშნა, რომ არ ახსენდება კონვენციაში გაფიცვის უფლება, თუმცა ახსენდება, რომ გაფიცვის უფლება არ აქვთ საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს წარმომადგენლებს, სამხედრო პირებს, არც კონსტიტუციურად და არც შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონით.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისა და საპარლამენტო მოსმენის დროს კანდი-დატის პასუხი დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე, მეტ-ნაკლებად დასაბუთებული იყო, თუმცა ზოგიერთ კითხვაზე პასუხი არ იყო დამაჯერებელი, რიგ შემთხვევებში კი კანდიდატი პასუხს თავს არიდებდა. მაგალითად, კითხვაზე თავად მიუღია თუ არა კერძო განჩინება, განაცხადა, რომ არ ახსოვს, ხოლო კითხვაზე, რატომ არ გამოიტანა კერძო განჩინება ლევან მურუსიძემ კანონდამრღვევი მოხელეების მხილებისთვის, მოსამართლემ კომენტარი არ გააკეთა. ამასთან, სანდრო გირგვლიანის საქმეზე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დაზარალებულისთვის მასალების არ მიცემის საკითხზე მოსამართლე შავლიაშვილი მხოლოდ მოკლე პასუხით შემოიფარგლა და აღნიშნა, რომ ეს არასწორი ინფორმაციაა.[94]

კითხვაზე, შეიძლება თუ არა გამართლებული იყოს სახელმწიფოს მიერ მაწანწალობის აკრძალვა, მოსამართლე შავლიაშვილმა უპასუხა, რომ საქართველო, როგორც სოციალური სახელმწიფო, ვალდებულია, რომ ღირსეული საცხოვრებელი გარემო შექმნას ადამიანებისთვის, ხოლო შეჭირვებულებს სპეციალური პროგრამების მეშვეობით შეუმსუბუქოს მდგომარეობა. საკითხთან დაკავშირებით კანდიდატმა მოიშველია ევროსასამართლოს სტანდარტი და აღნიშნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლში არის მითითება, რა შემთხვევაში შეიძლება მაწანწალებს, ალკოჰოლიკებსა და სულით ავადმყოფებს აღეკვეთოთ თავისუფლება, თუმცა, მისი თქმით, ამ საკითხს პირდაპირი მიმართება ვერ ექნება მაწანწალობის აკრძალვასთან.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

მოსმენის განმავლობაში კანდიდატი ძირითადად ნათლად, გასაგებად და გაწონასწორებულად აყალიბებდა საკუთარ პოზიციას. პასუხების გაცემის დროს მისი მსჯელობა მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული იყო.

დ) პროფესიული თვისებები

გიორგი შავლიაშვილმაც უპასუხოდ დატოვა მისი კოლეგის შესახებ დასმული შეკითხვა. კერძოდ, შეკითხვა შეეხებოდა იმას, თუ რატომ არ გამოიტანა კერძო განჩინება ლევან მურუსიძემ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში მოხელეთა მიერ ჩადენილ

94 იხილეთ გიორგი შავლიაშვილის გასაუბრება - https://bit.ly/3z1vs6p დამოუკიდებელ იურისტთა ჯგუფის წარმომადგენლის კახა წიქარიშვილის შეკითხვა სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით 3:17:20-დან 3:18:43-მდე

დარღვევებთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე შავლიაშვილი, ისევე როგორც სხვა კანდიდატები, ძირითადად ცდილობდნენ პირდაპირ არ ეპასუხათ ან სამოსამართლო ეთიკაზე (ბანგალორის პრინციპებზე) მითითებით თავი აერიდებინათ მათი კოლეგების საქმიანობის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისაგან.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მოსამართლე შავლიაშვილი მონაწილეობს ადგილობრივ და სართაშორისო სასწავლო-პროფესიულ ტრენინგებსა და კონფერენციებში, მათ შორის შემდეგ საკითხებზე: ორგანიზებულ დანაშაულთა და კორუფციასთან ბრძოლა, მოსამართლეთა შერჩევა, იუსტიციის რეფორმა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ტრეფიკინგი და სხვა.

2017-2018 წლებში კანდიდატმა გაიარა ამერიკული სამართლის სკოლისა და ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის ერთობლივი კურსი ბიზნეს სამართალში.

ვ) პროფესიული აქტივობა

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 2011 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი სისხლის სამართლის პროცესში. 2015-2016 წლებში იყო გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. ტრეფიკინგის საკითხებზე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის პედაგოგი 2015-2018 წლებში. 2019 წელს იყო მიწვეული ტრენერი ადვოკატთა ასოციაციაში. 2010-2011 წლებში მოსამართლე შავლიაშვილი იყო ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ექსპერტი.

ლაშა ქოჩიაშვილი

2021 წლის 17 ივნისს, კენჭისყრის პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი წარედგინა[95]. საქართველოს პარალმენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ლაშა ქოჩიაშვილს 2021 წლის 9 ივლისს მოუსმინეს. მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის მოსმენა 3 საათი და 11 წუთი გაგრძელდა. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე, ლაშა ქოჩიაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.[96] ლაშა ქოჩიაშვილის თანამდებობაზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრას 87 პარლამენტარი ესწრეობდა, საიდანაც 79-მა პარლამენტარმა მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას, ხოლო 5 - წინააღმდეგი იყო. დარჩენილმა 3 პარლამენტარმა არ მიიღო კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა.[97]

ლაშა ქოჩიაშვილი 2007 წელს დაინიშნა საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ზესტაფონის რაიონულ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში.[98] 2008-2009 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლისა და სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. 2009-დან 2019 წლამდე ლაშა ქოჩიაშვილი იკავებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობას. ხოლო 2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე, ლაშა ქოჩიაშვილი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

95 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინება, ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3iftPMc>

96 იხილეთ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - https://bit.ly/3sskRyM

97 იხილეთ კენჭისყრის ანგარიში - https://bit.ly/3iVxKhz

98 იხილეთ ლაშა ქოჩიასვილის ბიოგრაფია - https://bit.ly/2XvNoIk

ლაშა ქოჩიაშვილი

გასაუბრების ძირითადი ფრაგმენტები

მოსამართლე ქოჩიაშვილი მეორედ მონაწილეობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში. ის იყო ერთ-ერთი იმ კანდიდატებს შორის, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარედგინა საქართველოს პარლამენტს, თუმცა 2020 წელს განხორციელებული საკნანონმდებლო ცვლილებების შედეგად[99], მისი კანდიდატურა გაწვეულ იქნა. ეს გარემოება დამატებით ინტერესს სძენდა მის საპარლამენტო მოსმენას, ვინაიდან საინტერესო იყო თავად მოსამართლის ხედვა, როგორ აფასებდა მთელ ამ პროცესებს, რაც 2019 წლიდან მისი გასაუბრების მომენტამდე სასამართლო სისტემის ირგვლივ განვითარდა.

მოსამართლე ქოჩიაშვილმა გარკვეული გულისწყვეტა გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ უკვე მეორე შემთხვევა იყო, როდესაც იგი მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში, რომლის შეჩერებასაც აქტიურად ითხოვდნენ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები - *„პირველ შემთხვევაში იყო მეორე მოწვევის პარლამენტმა დაიტოვოსო და მან დააკმაყოფილოსო. არ მოვხვდი ამ პირველი მოწვევის... იმ წინა მოწვევის პარლამენტში. გამოვედი, მეორეში გამოვდივარ, საერთოდ არ დააკომპლექტოთო და უბრალოდ რა შეიძლება გააკეთოს კანდიდატმა ამ დროს ვეღარ გავიგე. ვმონაწილოებ.“*

განსხავევებით სხვა მონაწილეებისაგან, მოსამართლე ქოჩიაშვილმა ღიად და აშკარად დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება ლევან მურუსიძის ლიდერობასთან დაკავშირებით - „კი ბატონო, არის ლიდერი. იმ კუთხით, რომ ყველამ მოსამართლისთვის... ყველას, ასე, რომ ვთქვათ, ყველას მიმართ, ყველას მისაღები და ყველას შეურაცხყოფა მან თავის თავზე მიიღო და სასამართლო სიტემა დაიცვა და გააერთიანა.“

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

წინა პერიოდში (2012 წლამდე) სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობის მიზეზებად დაასახელა საკანონმდებლო ხარვეზები, ხოლო მოსამართლეებზე ზეწოლის შესახებ ინფორმაცია მას გააჩნდა მხოლოდ ტელევიზიით. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოსამართლემ განმარტა, რომ სასამართლოს სიფხიზლისთვის საჭიროა კრიტიკის მოსმენა, თუმცა მისი შეფასებით ამას თან მოსდევს მიზანმიმართული შეურაცხყოფა და „ტალახის სროლა“.

კითხვაზე არის თუ არა ლევან მურუსიძე დღეს სასამართლო სისტემის ლიდერი კანდიდატმა განაცხადა, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილებაში მოხსენიებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, გამოძიება საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება, პრეზიდენტის მიერ შეწყალების გადაწყვეტილება და ა. შ. თუმცა მისი მონაწილეობა გირგვლიანის საქმეში აქტუალური მხოლოდ მას შემდეგ გახდა რაც იგი საბჭოს მდივნად დაინიშნა. მისი შეფასებით მურუსიძეს ამ განცხადების გაკეთების უფლება ქონდა რადგან სწორედ მან გადაიტანა ყველა ის შემოტევა და შეურაცხყოფა რომელიც სასამართლოს

99 იხილეთ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2020 წლის 1 მაისს შესული ცვლილებები - https://bit.ly/3CjFr8a

ლაშა ქოჩიაშვილი

მიმართ ხორციელდებოდა.

აცილების შესახებ კაზუსზე (შეიძლება თუ არა მხარის მიერ მოსამართლის ფეისბუქზე დამატება გახდეს აცილების საფუძველი) კანდიდატმა განმარტა, რომ მას სოციალურ ქსელში არაერთი იურდიული პროფესიის პირი ყავს დამატებული. თუმცა საქმის მიმდინარეობის პროცესში მხარეთა წარმომადგენლების დამატების დროს აცილება გასათვალისწინებელია.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

ლაშა ქოჩიაშვილის შეფასებით სასამართლო სისტემა არის დამოუკიდებელი. მან აღნიშნა რომ მოსამართლეს ყველა ბერკეტი აქვს იყოს დამოუკიდებელი ინდივიდუალურად და მას არ ახსენდება რაიმე გამოწვევა რომელიც ამ კუთხით არსებობს ქართულ სასამართლო სისტემაში.

მისი შეფასებით საერთაშორისო პარტნიორთა კრიტიკა 19 აპრილის ხელშეკრულების კონტექსტში სავარაუდოდ ეფუძნება მცდარ ინფორმაციას რადგან მათ კომუნიკაცია არ ჰქონიათ პირადად სასამართლოსა და საბჭოსთან.

კანიდატმა აღნიშნა რომ მის პრაქტიკაში იყო შემთხვევები როცა მისი გადაწყვეტილება შეეწინააღმდეგა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და რიგ შემთხვევებში ასეთი გადაწყვეტილებები ძალაშიც დარჩენილა. ლაშა ქოჩიაშვილის შეფასებით სამართალი მუდმივად ვითარდება, ეს დინამიური პროცესია და შესაძლებელია დიდი პალატის გადაწყვეტილებები გარკვეული კუთხით შეიცვალოს.

კითხვაზე იყო თუ არა რაიმე გადაწყვეტილება რომელსაც კანდიდატი ნანობდა ან დღეს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება ქონდა ლაშა ქოჩიაშვილმა უარყოფითად უპასუხა.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

კრიტიკული კითხვების დასმისას კანდიდატს აშკარად შეეტყო დისკომფორტი და უკმაყოფილება. იგი ხშირად აწყვეტინებდა ინტერვიუერებს კითხვის დასმის და დაზუსტების პროცესებს. ასევე, კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილის არ არსებობის შემთხვევაში, თუ საკითხი მისთვის იყო განსაკუთრებით მწვავე ხშირად პასუხს თავს არიდებდა ან მსჯელობას განსხვავებული მიმართულებით ავითარებდა.

მისი უკმაყოფილება აშკარა იყო როგორც 19 აპრილის შეთანხმების მიუხედავად მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის გაგრძელების ლეგიტიმურობაზე მსჯელობისას, ასევე სასამართლოს მიმართ ნდობის და 2012 წლამდე სისტემაში მიმდინარე მოვლენების განხილვისას.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

2021 წლის 28 ივნისს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადის-კუსიო შეხვედრის შემდგომ მოსამართლეებმა გამოაქვეყნეს მიმართვა სადაც ისინი საუბრობდნენ "პოლიტიკურად მოტივირებულ, უაღრესად არაჯანსაღ პროცესებზე, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად და მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული". აღნიშნულ მიმართვაზე ხელი მოაწერა მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმაც. მისი განმარტებით, ამ გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია "დასაშვები კრიტიკის ზღვარს გაცდენილმა ტალახის სროლამ, შეურაცხყოფამ და მიუღებელმა განცხადებებმა".

ლაშა ქოჩიაშვილი

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

გასაუბრების პროცესში მოსამართლე ქოჩიაშვილს მოუწია პასუხი გაეცა როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კითხვებზე, ასევე შრომით ურთიერთობებში შესაძლო დისკრიმინაციულ მოპყრობის ფაქტებზე.

კანდიდატმა არაერთხელ განიხილა ის ნორმატიული წყაროები რომლის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას და გამოყო საკითხები, რომელიც მისი მოსაზრებით იყო პრობლემური და საჭიროებდა ცვლილებებს.

მიუხედავად ამისა, იყო რიგი შემთხვევები როცა მისი პასუხი იყო არადამაკმაყოფილებელი, მათ შორისაა, კითხვა დისკრიმინაციის შესახებ. კაზუსის მიხედვით გასაუბრებაზე მდედრობითი სქესის წარმომადგენელს დამსაქმებელმა კითხვა დაუსვა ოჯახის შექმნის შესახებ, ქონდა თუ არა მას ეს გეგმაში. მაშინ როდესაც ეს კითხვა არ დაუსვამს მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის. ინტერვიუერს აინტერესებდა იყო თუ არა ეს დისკრიმინაციული მოპყრობა რაზეც მოსამართლემ ცალსახა და დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მოსამენაზე განიხილეს კანდიდატის რამდენიმე გადაწყვეტილება რომელიც ზედა ინსტანციის სასამართლომ შეცვალა ან არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს. კანდიდატმა უარყო რომ რომელიმე შემთხვავაში მისი გადაწყვეტილება ხარვეზიანი იყო.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

მოსმენაზე კანდიდატი საუბრობდა გამართულად, თანმიმდევრულად. იგი რიგ შემთხვევებში თავს არიდებდა კითხვებზე პასუხის გაცემას ან განსხვავებული მიმართულებით მსჯელობდა. მოსმენისას აღინიშნა რომ მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილებებში სწორი, პოლიტ-კორექტული ტერმინების გამოყენებაზე.

დ) პროფესიული თვისებები

საკუთარი სასამართლო პრაქტიკის განხილვისას კანდიდატი იცავდა ეთიკის ნორმებს. ამასთანავე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მომზადებული შეფასების მიხედვით, მოსამართლე ქოჩიაშვილი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, შრომისმოყვარე, დისციპლინირებული პიროვნება.

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

პარლამენტში მოსმენაზე ყურადღება არ გამახვილებულა კანდიდატის აკადემიურ მიღწევებსა და პროფესიულ წვრთნაზე, თუმცა საბჭოს წევრების მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტის მიხედვით, ლაშა ქოჩიაშვილი ღიაა სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა პროგრამებში პროფესიული წვრთნის მიმართლებით.

ლაშა ქოჩიაშვილი

3) პროფესიული აქტივობა

როგორც უკვე აღინიშნა კანდიდატმა ხელი მოაწერა მოსამართლეთა მიმართვას, რომლის საფუძველზეც ისინი საუბრობდნენ სასამართლოს წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებულ თავდასხმებზე. გარდა ამისა, მის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივი სისტემისა და მართლ-მსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. გააჩნია შესაძლებლობა და უნარები ღიად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი პოზიცია.

დასკვნა

მართალია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესი, რომელიც იუსტიციის საბჭომ 2020 წლის 7 ოქტომბერს დაიწყო, 2019 წელს ჩატარებულ ანალოგიურ პროცესთან შედარებით გაუმჯობესებული პროცედურისა და წესების საფუძველზე წარიმართა, თუმცა უშუალოდ პროცესში შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებული არანაკლები ხარვეზი გამოვლინდა. თვალშისაცემი იყო ის განსხვავება, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მომზადებულ შეფასებასა და საკომიტეტო მოსმენის დროს რეალურად ნაჩვენებ შედეგებს შორის არსებობდა. კანდიდატები, რომელთა პიროვნულ თუ პროფესიულ, ასევე კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, საბჭოს წევრები მაღალ შეფასებას აძლევდნენ, საკომიტეტო მოსმენების დროს ხშირად კარგავდნენ წონასწორობას და მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქცევით გამოირჩეოდნენ. ამ მხრივ დასამახსოვრებელი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 ყოფილი წევრის ლევან თევზაძისა და რევაზ ნადარაიას გასაუბრება, რომელიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიმართ აშკარა უპატივცემულობას გამოხატავდნენ.

გარდა ამისა, პრობლემური იყო კრიტიკული კითხვების ნაკლებობა. ფაქტიურად არ გაჟღრებულა კანდიდატთა ღირებულებით სისტემასთან დაკავშირებული შეკითხვდები, რაც საზოგადოებას მისცემდა შესაძლებლობას შეექმნა წარმოდგენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით.

სამწუხაროა, რომ არ იქნა გათვალისწინებული ჩვენი საერთაშორისო პრატნიორებისა თუ მართლმსაჯულების სისტემით დაინტერესებული ადგილობრივი ორგანიზაციების მოწოდებები, პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით. მმართველი პარტიის საპირისპირო ქმედებებმა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ერთპიროვნულმა არჩევნებმა კიდევ უფრო გაამძაფრა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ლეგიტიმაციის არქონის პრობლემა. 2021 წლის 12 ივლისის კენჭისყრის შედეგად, საქართველოს უზენაეს სასამართლოში უვადოდ გამწესდნენ, მათ შორის, ისეთი მოსამართლეებიც, რომელთა კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მმართველი პარტიის გადაწყვეტილება - არ გაეთავალისწინებინა 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთება და მაინც დაენიშნა უზენაეს სასამართლოში ახალი მოსამართლეები, სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის - კლანის ინტერესების გატარებად უნდა შეფასდეს. ასეთი ნაბიჯები კიდევ უფრო ამძიმებს სასამართლო სისტემაში არსებულ ისედაც პრობლემურ სიტუაციას და გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებას ართმევს შესაძლებლობას ჰქონდეს წვდომა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებაზე.